ახალი განათლება

12-18.12.2019

№39 (873) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ლალი ჯელაძე

4 სავალალო სტატისტიკა „ბავშვთა კეთილდღეობის“ ფონზე

საქართველოში ძალადობრივი აღზრდის მეთოდების გამოყენება ისევ ჰრობლემად რჩება – 2018-2019 წლებში საქართველოში ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) შედეგები.

ანა ფირცხალაიშვილი

3 რეფორმა უმაღლეს განათლებაში

შედეგები და გამოწვევები

ლალი თვალაბეიშვილი

5 ქართველი მოსწავლეები ცერნში

- *საამაყოა, რომ ქართველი მეცნიერებიც მუშაობენ ამ ლაბორატორიაში* – დემეტრე
- *პრაქტიკულად ვნახე, როგორია ფიზიკოსობა, მეცნიერობა* – ლუკა
- *ხელშესახებად გვქონდა ამხელა კოლაიდერები, ძალიან მაგარი იყო* – იოანე
- *ამ ვიზიტმა მომცა სტიმული, რომ პროფესიული არჩევანი ტექნიკური განხრით გავაკეთო* – სანდრო

ლალი ჯელაძე

2 რატომ უნდა მქონოდა უკეთესის მოლოდინი?

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, დეკლარირებულად, სწავლებას ვაკავშირებთ ცხოვრებასთან, ჩვეულებრივ ქართულ სკოლებში ჯერჯერობით საოცრად გამიჯნულია ერთმანეთისგან ცხოვრება და სწავლება. ანუ პიზა აფასებს იმას, რისგანაც ჩვენ შორს ვართ. იმვიათად ნახავთ 15 წლის მოზარდს, რომელიც გაგაგებინებთ, რაში სჭირდება და როგორ უკავშირდება თავის ცხოვრებას ნეკლეინმჟავები და იზოტოპები, ტროპის სახეები და გრიგოლ ხანძთელის სამონასტრო ლვანლი, ტანგენსის ფუნქცია და თუქლეთინინურთას მოლვანეობა. შესაბამისად, ჩვენი სწავლება მიმართულია სულ სხვა მხარეს, ხოლო პიზა მოსწავლეებს აფასებს სულ სხვა კომპეტენციებში.

ბიოლბი ჭაუჭიძე

PISA-ს შეფასებები

ჰატომ უნდა მქონოდა უკეთესის მოლოდინი?

ლალი ჯელაძე

გასულ კვირას, მას შემდეგ, რაც მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018-ის ოფიციალური შედეგები გამოქვეყნდა, საზოგადოებაში აქტიურ განსახილველ თემად იქცა ჩვენი მოსწავლეების არასახარბიელო შედეგები, რომელიც აჩვენებს, რომ კვლევის წინა ციკლის შედეგები, პრინციპში, არ შეცვლილა – ქართველ მოსწავლეებს ისევ უჭირთ წაკითხულიდან ნააზრევის გამოტანა, აქვთ სუსტი მათემატიკური უნარები და ჩამორჩებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. პრინციპში, გასაკვირი და მოულოდნელიც არაფერია, რადგან ქართველი მოსწავლეები, თითქმის ისეთივე განათლებას იღებენ სკოლებში, როგორსაც 2009 ან 2015 წლებში, შესაბამისად, კვლევებში ჩართვიდან დღემდე, მათ საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ, მეტიც, 2015 წლის შემდეგ, მდგომარეობა მცირედით გაუარესდა. PISA 2018-ის მსოფლიო რეიტინგში საქართველო 70-ზე მეტი ქვეყნის ბოლო ათეულშია. ამიტომ ვამბობთ, რომ, პრინციპში, არაფერი შეცვლილა.

მსოფლიო რეიტინგის პირველი ათეული კი, ასე გამოიყურება: ჩინეთი – პეკინი, შანხაი, ძიანსუ და ჯეძიანი (კვლევა ჩინეთში მხოლოდ ამ ქალაქებში ჩატარდა); სინგაპური; მაკაო (ჩინეთის ავტონომიური ერთეული); ჰონგ კონგი; ესტონეთი; კანადა; ფინეთი; ირლანდია; კორეა; პოლონეთი. როგორც გითხარით, საქართველო ბოლო ათეულშია.

როდის შეიცვლება მაჩვენებლები და რა უნდა გააკეთოს სისტემამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; რა არის ის ძირითადი მიზეზები, რომელიც მსოფლიო რეიტინგში ქვეყანას, ასე ვთქვათ, „გაუნათლებლად“ წარმოაჩენს? – ეს საკითხები აქტიურად განიხილებოდა და საუბარი დღემდე გრძელდება. განათლების სპეციალისტების თუ უბრალოდ იმ ადამიანების მხრიდან, რომლებისთვისაც განათლება, ღირებულებებს შორის, უმნიშვნელოვანესია. თუმცა, ასეთი ადამიანების პროცენტულმა წილმა, როგორც ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი კვლევით შევიტყვეთ, ქვეყნის მოსახლეობის, მხოლოდ 4% შეადგინა. სხვათა შორის, ესეც მეტყველებს არსებულ შედეგებზეც და გაუმჯობესების ბუნდოვან პერსპექტივაზეც. და მაინც, რა ძირითადი მიზეზები გამოიკვეთა? საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ განათლებაში მიმდინარე რეფორმები და პროცესები არ უნდა იყოს დამოკიდებული განათლების მინისტრების ხშირ ცვლასა და საარჩევნო ციკლებზე, რომ სფერო პოლიტიკური მოვლენებისგან დამოუკიდებლად უნდა ვითარდებოდეს და მიჰყვებოდეს სწორად შედგენილ და გრძელვადიან სახელმწიფო პოლიტიკას, იდენტიფიცირებული უნდა იყოს პრობლემები, სწორად დასახოს მიზნები და ცნობილი იყოს მათი მიღწევის ინსტრუმენტები; ნაწილი იმასაც ამბობს, რომ მასწავლებლები მხოლოდ კრედიტქულების დაგროვებაზე არიან ფოკუსირებული და მოსწავლეებისთვის აღარ სცალიათ (იწუნებენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას!), მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ 1, 2 ან 4-კრედიტიანი მასწავლებლის ადგილი სკოლაში არ არის! ნაწილი მიზეზად მასწავლებელთა დაბალ ხელფასებსაც ასახელებს, თუმცა, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი ზურა ვახანია, ერთ-ერთ ინტერვიუში, ხაზგასმით ამბობს, რომ გაზრდილი დაფინანსება წყალში გადაყრილია, თუ სწორ გზაზე არ დგახარ და არ იცი რას უნდა მოახმარო თანხა. „მასწავლებელს ხელფასი მოუმატეს ორჯერ – ჯერ ორი წლის წინ და ახლა კიდევ შემოდგომაზე, მაგრამ იცით, რომ სწავლების ხარისხი გაუარესდა?! იმიტომ, რომ საშინელი ბიუროკრატიაა, რაზეც უამრავი დრო და ენერგია მიდის და ბავშვისთვის აღარავის სცალია.

პრობლემის აღმოფხვრას არ უშველის მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობა. ისე უკუღმართად მიმდინარეობდა, 40 წლის განმავლობაში, განათლების სისტემაში პროცესები, რომ ძირფესვიანად არის შესაცვლელი ყველაფერი. რევოლუცია არის ამ მიმართულებით საჭირო.“

სხვადასხვა მოსაზრებებისა და არგუმენტების მიუხედავად (ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება, მით უფრო, როცა თითოეულში მცირე სიმართლის დანახვა შეიძლება), ერთი მინიშნება უცვლელია: უკეთეს შედეგებს არავინ ელოდა.

მარნეულის N2 საჯარო სკოლის ქართული როგორც მეორე ენისა და ისტორიის მასწავლებელი, 2019 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული გიორგი ჭაუჭიძე PISA 2018 წლის შეფასებისას ამბობს, რომ, რეალურად, ქართულ სკოლებში, ჯერჯერობით, საოცრადაა გამიჯნული ერთმანეთისგან ცხოვრება და სწავლება და სვამს კითხვას: რატომ უნდა ჰქონოდა უკეთესის მოლოდინი?

– როგორ ფიქრობთ, რა არის ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ქართველი მოსწავლეები ასეთ დაბალ შედეგებს აჩვენებენ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ კვლევებში?

– ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემამდე ვიკითხოთ, რა არის პიზა? პიზა არის საერთაშორისო კვლევა, რომელიც 15 წლის მოზარდებში აფასებს, როგორ შეუძლიათ *„გამოიყენონ ძირითად საგნებში მიღებული ცოდნა და უნარები ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაბამისად, იგი არ შემოიფარგლება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შინაარსობრივი საკითხებით და ცოდნის პრაქტიკაში ინტეგრირებულად გამოყენებას აფასებს,“* (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA, საქართველოს ანგარიში, თბილისი 2017).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, **დეკლარირებულად,** სწავლებას ვაკავშირებთ ცხოვრებასთან, **რეალურად** ქართულ სკოლებში ჯერჯერობით საოცრად გამიჯნულია ერთმანეთისგან ცხოვრება და სწავლება. ანუ პიზა აფასებს იმას, რისგანაც ჩვენ შორს ვართ. იშვიათად ნახავთ 15 წლის მოზარდს, რომელიც გაგაგებინებთ, რაში სჭირდება და როგორ უკავშირდება თავის ცხოვრებას ნუკლეინმჟავები და იზოტოპები, ტროპის სახეები და გრიგოლ ხანძთელის სამონასტრო ღვაწლი, ტანგენსის ფუნქცია და თუქულთინინურთას მოღვაწეობა. შესაბამისად, ჩვენი სწავლება მიმართულია სულ სხვა მხარეს, ხოლო პიზა მოსწავლეებს აფასებს სულ სხვა კომპეტენციებში.

ჩემი აზრით, სავალალო შედეგების მთავარი მიზეზი ესაა. თორემ სხვა მიზეზიც უამრავია: სკოლების რესურსული სიმწირე, სკოლების არაეფექტური მენეჯმენტი, მასწავლებელთა კომპეტენციის დაბალი მაჩვენებელი, სწავლების ერთფეროვანი და არაეფექტური მეთოდები, გაუმართავი და საძაგელი შეფასების სისტემა, გადაწყვეტილებების მიღების არადემოკრატიული და ცენტრალიზებული წესი, მყიფე საგანმანათლებლო პოლიტიკა და ა.შ. ანუ თუკი ჩვენი სწავლების მიმართულება დაემთხვევა იმას, რასაც პიზა ამოწმებს (ვიმეორებ: როგორ იყენებენ ძირითად საგნებში მიღებულ ცოდნასა და უნარებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.), მიუხედავად აქ ჩამოთვლილი პრობლემებისა, გაცილებით უკეთესი შედეგი გვექნებოდა.

– როგორ უნდა წავიდეთ წინ, როგორ გავხდეთ განათლებულები, სად არის გამოსავალი?

– წინა პასუხიდან გამომდინარე ვიტყვი, რომ ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ის, რასაც აფასებს პიზა: როგორ გამოიყენონ ცხოვრებაში სკოლაში მიღებული ცოდნა. ასე მხოლოდ იმიტომ კი არ უნდა მოვიქცეთ, რომ პიზას კვლევაში წავიწიოთ წინ, არამედ იმიტომაც, რომ ესაა სწავლების მთავარი მიზანი.

ახლა იგივე შეკითხვა დავსვათ მშობელთა გადმოსახედიდან: როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები – საგანმანათლებლო სექტორის მთავარი დამკვეთები? სადმე გინახავთ ამ კვლევის შედეგებით აღშფოთებული მშობელთა ჯგუფი, რომელიც პასუხს მოსთხოვს სახელმწიფოს: *„ჩვენს შვილებს უწიგნურობისთვის იმეტებთ და ამდენ მილიარდს ტყუილად ხარჯავთო?!“* გინახავთ? არა, ხომ? ვერც ნახავთ. რადგან მშობლებმა მშვენივრად იციან, რომ საჯარო სკოლები მათი შვილების საგანმანათლებლო ადგილი არაა. სკოლის მთავარი ფუნქცია, მშობელთა მოლოდინით, არის შვილების მშვიდობიანად შენახვა ცხრიდან ორ საათამდე (უსაფრთხოებაზე ისინი საკმაოდ მძაფრად რეაგირებენ.). რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ეს მხარე ერთგვარ ბონუსად მოჰყვება სასკოლო ცხოვრებას: თუკი ისწავლა, ხომ კარგი და თუკი არა – არც გაემტყუნება, აბა, ვინღა სწავლობს დღეს რეპეტიტორებთან მომზადების გარეშე?!

არადა, როგორი უნდა იყოს ამ შედეგებზე მშობელთა დიდ-დიდი ჯგუფების რეაქცია?! – მძაფრი. ოღონდ ეს სიმძაფრე ხელისუფლებამ საგანმანათლებლო თანხების კიდევ უფრო გასაზრდელად და საკუთარი გემოვნების მიხედვით დასახარჯად კი არ უნდა გამოიყენოს, პირიქით, მშობლებმა თანდათან უნდა გააცნობიერონ, რომ მათი შვილების განათლება მათი საქმეა და არა სახელმწიფოსი. მათ საკუთარ თავზე უნდა აიღონ შვილების განათლება და სახელმწიფოს უნდა მოსთხოვონ იმ ფულის გადაცემა, რასაც მათი შვილებისთვის ხარჯავს და როგორც ყველა კვლევა ადასტურებს, საოცრად არაეფექტურად (აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს გადასაცემი ფული რამდენჯერმე უნდა აღემატებოდეს იმ ვაუჩერის ფასს, როგორადაც სახელმწიფო დღეს ერთ მოსწავლეს აფასებს საჯარო სკოლაში).

შესაბამისად, ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი გზა უნდა იყოს სახელმწიფოსთვის იმ ფუნქციის თანდათან ჩამორთმევა, რა ფუნქციასაც იგი ჯეროვნად ვერ ასრულებს. და რაც უფრო მეტი მშობელი ჩამოართმევს სახელმწიფოს ამ ფუნქციას, მით უფრო სწრაფად ნავალთ წინ, ერთი მხრივ, და სახელმწიფოსაც უფრო მეტი სახსარ-საშუალება დარჩება იმათ საგანმანათლებლო მიზნების დასაკმაყოფილებლად, ვინც ამას ვერ მოახერხებს.

მანამდე კი, სანამ მშობელთა ცნობიერება ამაღლდება და სახელმწიფოც თანდათან გაუშვებს ხელიდან იმ ფუნქციებს, რასაც თავს ვერ ართმევს და რასაც სხვა უკეთ შეასრულებს, გულხელდაკრეფილი ხომ არ უნდა ვიყოთ?! არა. ერთ-ერთი პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, არის სწორედ ეს: ვასწავლოთ და ვავარჯიშოთ ბავშვები იმაში, რასაც პიზა აფასებს!

1. უნდა მივაწოდოთ ბავშვებს საინტერესო ტექსტები ქართულში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ყველა საგანში და ვავარჯიშ-ვამეცადინოთ ამ ტექსტების სიღრმისეულ გააზრებაში.

2. უნდა დავუსახოთ ისეთი ამოცანები, რომლებიც მათ უბიძგებს, იმ საინტერესო ტექსტების გააზრების პროცესში ამოღებული ცოდნა და შეძენილი უნარები გამოიყენონ ცხოვრებისეულ კონტექსტებში.

მიუხედავად ცენტრალიზებული სისტემისა, რომელიც ჩვენ გვაქვს, ცალსახად უარყოფითი თვისებებისა, მისი ერთი სარგებელი ის შეიძლება იყოს, რომ ასეთი ტექსტები და კონტექსტები სწრაფად და იაფად შევქმნათ და გავუშვათ სკოლებში.

– ელოდით თუ არა უკეთეს შედეგებს? წიგნიერების ასეთი დაბალი დონე რისი მანიშნებელია განათლების სისტემისთვის და, ზოგადად, ქვეყნისთვის?

– არ ველოდი უკეთეს შედეგებს. რატომ უნდა მქონოდა უკეთესის მოლოდინი? რაიმე ისეთი მოხდა ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, რასაც 15 წლის მოზარდების სასწავლო შედეგები უნდა გაეუმჯობესებინა? მე ვერ ვიხსენებ ასეთ გარღვევას. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ მიმდინარე წლიდან დაიძრა ის პროცესი, რომელიც, ჩემი აზრით, ძირეულად შეცვლის ჩვენს სკოლას და, აბა 2027 წელს შეგვეჯიბრონ ესტონეთი და სინგაპური!

რაც შეეხება 2018 წლის კვლევის შედეგებს. უნდა ვთქვა, რომ ამ კვლევის სრული ანგარიში ჯერ არაა ჩემთვის ხელმისაწვდომი. ზედაპირული მონაცემებით, ჩვენი გაუარესებული შედეგები იმდენად უმნიშვნელოა, რომ სავსებით შესაძლებელია კვლევის ცდომილებად ჩაითვალოს. ანუ როგორც არსებით გაუმჯობესებას არ ველოდი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ასევე შედეგების გაუარესებაც გაბუქებულად მეჩვენება. ასევე ეჭვს მიჩენს ზოგიერთი ქვეყნის (არ დავასახელებ) მონაცემების მოწინავეობა, თუ გავითვალისწინებთ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის უმწიფრობასა და არადემოკრატიულობას (რატომღა დავმალო: ქვეყანაში რომ პუტინს 70%-იანი რეიტინგი ექნება, როგორ შეიძლება იმ ქვეყანაში საგანმანათლებლო პროცესი ჯანსაღად გამოიყურებოდეს?!).

ყველა შემთხვევაში, რასაკვირველია, სამწუხარო და სავალალოა ისეთი მონაცემი, რომელიც გვეუბნება, რომ ჩვენი 15 წლის მოზარდებიდან პრაქტიკულად არავინ გვყავს, რომელიც **„ამოიცნობს ტექსტში ცხადად და შეფარვით გადმოცემულ აზრს და, ამავდროულად, ტექსტის მიღმა უკვე არსებულ ცოდნასა და წარმოდგენებზე დაყრდნობით კრიტიკულად აფასებს მათ“** (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA, საქართველოს ანგარიში, თბილისი 2017).

– რა მნიშვნელობა აქვს პიზაში ან სხვა მსგავს კვლევებში მონაწილეობას და რეალურად რას გვაძლევს ეს?

– როგორც PISA-ს კვლევა, ასევე PIRLS და სხვა საერთაშორისო კვლევები კარგი ინსტრუმენტია საერთო სურათის დასანახად. ასევე ამ კვლევებში მონაწილეობა საშუალებას იძლევა, მივიღოთ არა მხოლოდ ჩვენი მოსწავლეების შედეგები სხვადასხვა მიმართულებით, არამედ საშურად კვალიფიციური რეკომენდაციები, თუ სად რა გვაქვს გამოსასწორებელი და სად რა გვაქვს გასაკეთებელი.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ამ კვლევებისთვის ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭება გაუმართლებელია. თუმცა, რასაკვირველია, მიუღებელია ის პოზიცია, რაც რამდენიმე წლის წინ დაიკავა საქართველოს მთავრობამ და უარი განაცხადა საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობაზე, ჩვენვე ჩავატარებთ კვლევებს და განვითარების მყისიერ შედეგებს დავდებთო. სხვათა შორის, ასეთი პოზიციები უცხო არ არის ზოგიერთი ქვეყნისთვის. მაგალითად, სომხეთი სულაც არ მონაწილეობს ამ კვლევებში, რაც სომეხი განმანათლებლების შეცდომად მიმაჩნია. ისე, სომხეთის რესპუბლიკის მონაწილეობა ჩვენზეც მოახდენდა კეთილისმყოფელ გავლენას – მოგეხსენებათ, ჩვენს საუკუნოვან მეზობელთან ჯიბრი ერთობ სასარგებლოდ წაგვადგებოდა ხოლმე არცთუ იშვიათად.

P.S. ***ესტონელი და ქართველი მეათეკლასელები ჩათაობენ:***

– რა არის, მაგდა, რა საშინელი შედეგები გაქვთ წიგნიერებაში?!

– ასეთ ტექსტებზე მუშაობას არ ვართ ჩვენ მიჩვეულები... აბა, შენ შემეჯიბრე ისეთი ტექსტის გააზრებაში, რომელშიც ნახევარი სიტყვები უცნობი და გაუგებარი იქნება შენთვის...

ხარისხის განვითარება

ევროპამ უმაღლეს განათლებაში – შედეგები და გამოწვევები

ანა ფირცხალაიშვილი

5 და 6 დეკემბერს, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა კონფერენცია გამართა – „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა და განვითარების შესაძლებლობები“. კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მასში მონაწილეობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის განვითარების სამსახურების, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრის (EQAR), სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME), პარტნიორი ადგილობრივი და საერთაშრისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრები და სხვები. ეს ის ხალხია ვინც უმაღლეს განათლებაში ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დამკვიდრებისთვის წლებია იღვწის. იმ რეფორმის მიმდინარეობას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელდა, ჩვენი გაზეთი სისტემატურად აშუქებდა.

კონფერენციის პირველი დღის მონაწილეებმა ერთგვარი შეფასება მისცეს მიმდინარე რეფორმას, ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის ახალ მიდგომებზე, ECTS საკრედიტო სისტემის გამოყენების უპირატესობაზე, გაკეთდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული მექანიზმების დანერგვის ანალიზი, კონფერენციის მონაწილეები გაეცნენ დაძმობილების პროექტს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, როგორც საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას.

კონფერენციის მეორე დღე პანელის დისკუსიას დაეთმო, რომელშიც უმაღლესი სამედიცინო დაწესებულებების და, ზოგადად, სამედიცინო დარგის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ – უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელები, დეკანები, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საბჭოს წევრები, ექსპერტები ბევრ მწავე საკითხს შეეხნენ. ისაუბრეს დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი უწყვეტი განათლების აუცილებლობაზე, რაც სასურველია დაინერგოს ამ სფეროში, აღინიშნა, რომ ასეთი მაგალითები არსებობს ევროპულ ქვეყნებში და არც დიდ რესურსებთანაა დაკავშირებული.

უმაღლესი განათლების ხარისხზე საუბრისას თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **დიმიტრი კორძაია**, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიდრე სასკოლო განათლება არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს უმაღლეს განათლებაში ხარისხის მიღწევა, თითქმის, შეუძლებელი იქნება. *„ძალიან განვითარდა მეცნიერება, განსაკუთრებით ბიოქიმია. ჩვენი პირველკურსელები სრულიად მოუმზადებელნი არიან ამ საგნის შესასწავლად. იქნებ სამინისტრომ იფიქროს ამაზე და მომავალი აბიტურიენტებისთვის, რომლებიც ექიმობას აპირებენ, ბოლო კლასებში პრიორიტეტული გახდეს საბუნებისმეტყველო საგნების გამორჩეულად სწავლება. მიმაჩნია, რომ მომავალი ექიმისთვის აუცილებელია კარგი საბაზისო ცოდნა ქიმიაში, ბიოლოგიაში და, ალბათ, მათემატიკაშიც“.*

განათლების მინისტრის მოადგილემ, **ნუნუ მიცკევიჩმა** კონფერენციის მონაწილეებს საკუთარი შთაბეჭდილება გაუზიარა და დასძინა, რომ სამინისტროში შემუშავებულია მისაღები გამოცდების ახალი მოდელი, რაც ითვალისწინებს 3 ძირითადი გამოცდის – ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ჩაბარებას. *„გარდა ამისა, ჩვენ დავაყენებთ საკითხს რექტორთა საბჭოზე, რომ, მაგალითად, ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლის მსურველისთვის ფიზიკის ჩაბარება იყოს აუცილებელი, ქიმიის ფაკულტეტზე – ქიმიის და ა.შ.“.*

ხარისხიანი სწავლების აუცილებელ კომპონენტებად ისეთი ფაქტორებიც დასახელდა, რასაც აქამდე ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. მაგალითად, ითქვა, რომ ანგარიშგასაწევია ინფორმაციის სიმრავლე, რაც სხვა ტიპის სწავლებაზე გადასვლას ითხოვს, რომ სტუდენტებს მართალია ჰყავთ მაღალი კვალიფიკაციის პროფესორები, მაგრამ აღარ ჰყავთ მენტორები, რაც აიხსნება დროის უკმარისობით, როცა ერთი პროფესორი კლინიკიდან კლინიკაში გარბის ან უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტში; ითქვა, რომ ჯანდაცვაში სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს დაიჭერს მაღალი ტექნოლოგიები, რაც გააძვირებს სერვისს, მომავალი სამედიცინო კადრების დაგეგმვის აუცილებლობასაც შეეხნენ და იმასაც, რომ მომავალი ექიმისთვის ასევე აუცილებელია დამოკიდებულების შესწავლა, რაც ემპათიაზე გადის – სიცოცხლის ხალისი – ბედნიერების ფაქტორი თურმე მედიკოსის პროფესიონალიზმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია.

კონფერენციის ერთგვარი შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონაწილეთა წინადადებებსა თუ სურვილებს, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების კუთხით, ორი მიმართულება აქვს – განათლების სამინისტრო და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. ეს წინადადებები სწორედ ამ ორი უწყების განხილვის საგანი უნდა გახდეს. რაც შეეხება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების გაუმჯობესებას, აქ მთავარ გამოწვევად ექსპერტთა კვალიფიკაცია დასახელდა, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს შეფასების თანმიმდევრულობაზე. საპასუხოდ, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ტრენინგ მოდულებს შესთავაზებს ექსპერტთა კორპუსს, რაც დაეხმარება მათ შეფასებასა და დასკვნების დასაბუთებულად ჩამოყალიბებაში.

მეორე გამოწვევად დასახელდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული განაცხადების დიდი რაოდენობა – 250-300 პროგრამის შეფასება ერთ წელიწადში. ბუნებრივია, ეს დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული. ამიტომ გადაწყვეტილია არსებული სისტემის მოდიფიცირება, კერძოდ, შესაძლებელია, პროგრამების შეფასება განხორციელდეს მიმართულებების მიხედვით ან მოხდეს ფაკულტეტის აკრედიტაცია.

ინფორმაცია

ახალგაზრდებს ახალფეხზე თქვათ უარი, მიიღეთ ახალი გამოწვევები

3 დეკემბერს „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ და „სტუდენტთა პარლამენტის“ ორგანიზებით, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, პროექტის „გაიცანი მსოფლიო, განავითარე შენი რეგიონი“ ფარგლებში, სკოლების უფროსკლასელებმა წარმოადგინეს პრზენტაციები თემაზე „ცაგერის ეკონომიკური განვითარება“. გამარჯვებულთა შორის, უკვე მეორედ, დასახელდა ლადო ასათიანის სახელობის ბარდნალის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე **სალომე ომანაძე**, რომელმაც წარადგინა საინტერესო თემა „ლეჩხუმის მეაბრეშუმეობის განვითარება“.

ზაფხულში მან, ამავე პროექტში გამარჯვებულ სხვა მოსწავლეებთან ერთად, კაბადოკიაში იმოგზაურა, ახლა კი გამარჯვებულები ბაქოში გაემგზავრებიან.

სალომეს აზრით, ძნელად თუ იპოვით ადამიანს, რომელსაც მოგზაურობა, ახალი ადგილების მონახულება არ უყვარს. მასაც უყვარს თავისი ქვეყანა და სურს, პირველ რიგში, საქართველო მოიაროს ფეხდაფეხ, უკეთ გაიცნოს და უფრო მეტად შეიყვაროს, მაგრამ არც სხვა ქვეყნის მონახულების შანსის ხელიდან გაშვება უნდა. უყვარს და აინტერესებს სხვადასხვა პროექტები, ბანაკები მოსწავლეებისთვის და თუ შესაძლებლობა ეძლევა, ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს.

„ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უსაყვარლესია ICSU, იგივე დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება. ეს ორგანიზაცია ბევრ პროექტს ახორციელებს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საინტერესოა „გაიცანი ევროპა და განავითარე შენი რეგიონი, – გვიყვება სალომე, – ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, წელს, ზაფხულში, ცაგერის მუნიციპალიტეტში გამოცხადდა კონკურსი სახელწოდებით – „ცაგერის ტურისტული განვითარება“. პროექტში მონაწილეობა ცაგერის მუნიციპალიტეტის ნებისმიერ მოსწავლეს შეეძლო. უნდა გამოვლენილიყო ორი გამარჯვებული: ერთი – ჟიურის, მეორე – აუდიტორიის გადაწყვეტილებით. საჩუქრად კი, სრული დაფინანსებით, ერთი კვირით თურქეთში, კაბადოკიაში გაემგზავრებოდნენ. მინდოდა ჩემი თავი გამომეცადა, ახალი გამოცდილება მიმეღო და ამიტომ მივიღე მონაწილეობა ამ პროეტში. წარვადგინე თემა „ახალჭალა, როგორც ლეჩხუმის სავიზიტო ბარათი“. ახალჭალა ლეჩხუმში ერთ-ერთი საკურორტო ზონაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კურორტზე არ არსებობს იმის პირობები, რომ დაინტერესებულმა პირებმა ისარგებლონ. საბედნიეროდ, ჩემმა თემამ საპრიზო ადგილი დაიკავა და აუდიტორიის რჩეული გავხდი. 15 ივნისს თურქეთში გავემგზავრე, სხვა გამარჯვებულ მოსწავლეებთან ერთად.“

არასოდეს დაავიწყდება ის ერთი კვირა, რომელმაც ზაფხული გაულამაზა. გარდა იმისა, რომ უცხო ქვეყნის ნახვის შესაძლებლობა მიეცა, ამ პროექტმა სალომეს ახალი მეგობრებიც შესძინა. ახალი სასწავლო წლის დადგომას თან ახალი გამოწვევები ახლავს – კაბადოკიის შემდეგ რიგში ბაქო, აზერბაიჯანის დედაქალაქი ჩადგა. *„იმავე ორგანიზაციის ხელმძღვანელობით და განსხვავებული საპრეზენტაციო თემით, ამ შემთხვევაში, „ცაგერის ეკონომიკურ განვითარება“-ზე მიდგა საქმე. ვფიქრობ, როცა ასეთი დიდი შესაძლებლობა გეძლევა ცხოვრებაში, არასდროს არ უნდა გაუშვა ხელიდან. შენს თავს უნდა აჯობო და მიზანს მიაღწიო. არც ამ შემთხვევაში მინდოდა ამ დიდი შანსის დაკარგვა და ისევ გამოვიწვიე ჩემი თავი. ამ შემთხვევაში ჩემი თემა ცაგერის მეაბრეშუმეობის აღორძინებას შეეხებოდა. გასულ საუკენეში, ლეჩხუმში, ეს დარგი წარმატებით ვითარდებოდა, მაგრამ დღესდღეობით მისი ნაშთიც კი აღარ არსებობს. მაგალითი წარსულიდან ავიღე და დღევანდელ რეალობას მოვარგე. ამ შემთხვევაშიც, გამარჯვებულ მოსწავლეთა სიაში მოვხვდი, ამჯერად ჟიურის რჩეული გავხდი. დიდი იმედებით ველოდები ახალ წელს, იანვრის დადგომას, რომ ისევ ერთკვირიან ზღაპარში მოვხვდე და ამჯერად ბაქოში ვიმოგზაურო. ჩემისთანა ახალგაზრდებისთვის ეს დიდი შესაძლებლობაა საკუთარი თავის წარმოჩენისათვის. არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, როცა აცნობიერებ, რომ შენი შრომა ფასდება და ხედავ იმ ადამიანების გაბრწყინებულ თვალებს, რომლებსაც შენი წარმატება უხარიათ.*

მინდა, მადლობა გადავუხადო ICSU-ს და მის ხელმძღვანელებს, რომ ასეთი შესაძლებლობა მოგვცა, საქართველოს მაშტაბით, ყველა მოსწავლეს; ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტს, ჩემს მშობლიურ ლადო ასათიანის სახელობის ბარდნალის საჯარო სკოლას და, რა თქმა უნდა, ჩემს მშობლებს მხარდაჭერისთვის. არც მომავლში ვიტყვი უარს ახალ პროექტში მონაწილეობაზე, რადგან ეს გაზრდის და განვითარების საშუალებას მაძლევს, ამიტომ ველი მორიგ გამოწვევას ჩემს ცხოვრებაში. არასდროს არაფერზე თქვათ უარი, მიიღეთ ახალი გამოწვევები და დაისახეთ მიზნები.“

სკოლის დირექცია ულოცავს სალომეს და მასთან ერთად, სხვა გამარჯვებულებსაც ამ წარმატებას, საინტერესო მოგზაურობას და კვლავ წარმატებებს უსურვებს; მადლობას უხდის პროექტის ორგანიზატორებსა და მუნიციპალიტეტის მერიას აქტიური მხარდაჭერისთვის.

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

კვლევა

სავალალო სტატისტიკა „ბავშვთა კეთილდღეობის“ ფონზე

ლალი ჯელაძე

2018-2019 წლებში საქართველოში ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) შედეგები გასაჯაროვდა. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული და მისი მხარდაჭერით ჩატარებული შინამეურნეობების ერთ-ერთი ყველაზე დიდი საერთაშორისო კვლევა მსოფლიოში (MICS) ფარავს იმ ძირითად ინდიკატორებს, რომლებიც გამოიყენება შინამეურნეობების, განსაკუთრებით კი ბავშვების და ქალების მდგომარეობის შესაფასებლად. MICS-ის ჩატარება 1990-იან წლებში დაიწყო და, დღემდე, 300-ზე მეტი კვლევა განხორციელდა 100-ზე მეტ ქვეყანაში.

საქართველოში კვლევამ 180-ზე მეტი ინდიკატორი მოიცვა და მასში 14 000-ზე მეტმა შინამეურნეობამ მიიღო მონაწილეობა.

როგორია შედეგები? მონაცემები, სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით, განსხვავებულია, *„განსხვავებულია ბავშვების კეთილდღეობის შესახებ ინფორმაციაც ქვეყნისა და რეგიონების მიხედვით, შედეგები აჩვენებს, ბავშვების მდგომარეობის გამოსწორების მიმართულებით, ბოლო წლების განმავლობაში მიღწეულ პროგრესს, თუმცა, ასევე ცხადჰყოფს, მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებზეც აუცილებელია რეაგირება“* – აცხადებს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ღასან ხალილი.

მრავალინდიკატორულ კვლევაში ყურადღება იმ ძირითად მიგნებებზე შევაჩერეთ, რომელიც ბავშვის აღზრდას უკავშირდება. ირკვევა, რომ საქართველოში ძალადობრივი აღზრდის მეთოდების გამოყენება ისევ პრობლემად რჩება.

გახშირებული ძალადობრივი აღზრდის მეთოდები ოთხი ინდიკატორის მიხედვით იკვლიეს: ფიზიკური დასჯა; მკაცრი ფიზიკური დასჯა; ფსიქოლოგიური დასჯა; ნებისმიერი ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური აგრესია.

კვლევამ აჩვენა, რომ გასული თვის განმავლობაში, 1-14 წლის ბავშვების 69%-ის მიმართ, გამოიყენეს აღზრდის რომელიმე ძალადობრივი მეთოდი, 31%-ს კი გამოუცდია მკაცრი და სხვა ტიპის ფიზიკური დასჯა, მკაცრი ფიზიკური დასჯა – 5%-ს.

ბავშვთა 66% აცხადებს, რომ განიცადა ფსიქოლოგიური აგრესია. ფუნქციური სირთულეების არმქონე ბავშვთა მიმართ გამოყენებული არაძალადობრივი აღზრდის მეთოდები 9 პროცენტული პუნქტით მაღალია, ვიდრე ფუნქციური სირთულეების მქონე ბავშვთა მიმართ. საპირისპიროდ, ფუნქციური სირთულეების მქონე ბავშვთა მიმართ გამოყენებული მკაცრი ფიზიკური დასჯის მეთოდები 9 პროცენტული პუნქტით მაღალია, ვიდრე ფუნქციური სირთულეების არმქონე ბავშვთა მიმართ.

გამოკითხული დედების/მეურვეების 8% ფიქრობს, რომ ბავშვის სწორად აღსაზრდელად ფიზიკური დასჯა საჭიროა. ძირითადი განსხვავებები შეინიშნება მეურვის სქესის მიხედვით – ქალების 8% მიიჩნევს, რომ ფიზიკური დასჯა საჭიროა, რაც 5-ჯერ აღემატება კაცის ანალოგიურ მაჩვენებლებს. ეს შეხედულება, ასევე, დაკავშირებულია დედის/მეურვის განათლების დონესთან – ბავშვის ფიზიკური დასჯის მომხრეთა რაოდენობა მცირდება რესპონდენტების განათლების დონის ზრდასთან ერთად.

1-14 წლის ბავშვების პროცენტული წილი, ბოლო ერთი თვის განმავლობაში გამოყენებული აღზრდის მეთოდების მიხედვით, მცირედით განსხვავებულია ქალაქსა და სოფელს შორის. კვლევის შედეგად ვიგებთ, რომ მხოლოდ არაძალადობრივი მეთოდები, ამ პერიოდში, ქალაქსა და სოფელში, თანაბრადაა გამოყენებული (გამოკითხულთა 28% შეადგინა).

ფიზიკური დასჯის ფორმებიდან მკაცრი დასჯის მეთოდები ქალაქში მცხოვრებ ბავშვებზე 4% მოდის, ხოლო სოფელში მცხოვრებ ბავშვებზე – 5%. შედარებით დიდია სხვა ტიპის ძალადობრივი მეთოდების გამოყენების შემთხვევები და აქაც მცირე განსხვავებაა ქალაქსა და სოფელს შორის: 29/25%. ყველაზე მეტად ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები ჭარბობს: ქალაქში – 67, სოფელში – 65, შემდეგ მოსდევს რომელიმე სხვა ძალადობრივი მეთოდი, რომლის პროცენტული წილი ქალაქსა და სოფელში თანაბარია – 69.

განსხვავებულია მონაცემები ეროვნების მიხედვითაც. აღმოჩნდა, რომ ბავშვებს, მხოლოდ არაძალადობრივი მეთოდით, აზერბაიჯანელი ოჯახების 16% ზრდის, სომეხი ოჯახების 33%, ხოლო ქართული ოჯახების 29%.

ფიზიკური დასჯის მკაცრი მეთოდები კი, ასე გადანაწილდა: აზერბაიჯანელი –1 2, სომეხი – 3, ქართველი – 4, სხვა – 3; სხვა ტიპის ძალადობრივ მეთოდებს მიმართავს: სომეხი – 32%, ქართველი – 24%, აზერბაიჯანელი – 41%, სხვა – 29%; ყველაზე ხშირად მშობელთა უმრავლესობა ბავშვის აღზრდისას ფსიქოლოგიურ აგრესიას იყენებს – აზერბაიჯანელი – 82, ქართველი – 65, სომეხი – 62, სხვა – 64.

კლასტერულმა კვლევამ, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, სასწავლო გარემოში მშობელთა ჩართულობაც მოიცვა, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველობაში ზრდასრულების ჩართულობა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, არც თუ ისე მაღალია: გამოკითხულთა 57% ამბობს, რომ სკოლას აქვს მმართველი ორგანო, რომელშიც მშობლებსაც შეუძლიათ მონაწილეობა. მშობლების მხოლოდ 33% დაესწრო მმართველი ორგანოს მიერ გამართულ კრებას, 75% კი – სასკოლო ზეიმებსა და სპორტულ ღონისძიებებს. მშობელთა 78% ამბობს, რომ ჰქონდა შეხვედრა მასწავლებელთან, აკადემიური მოსწრების განსახილველად; 33%-ს კი, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, არ მიუღია მოსწავლის აკადემიური შეფასების ბარათი.

ყურადღებას იქცევს ბავშვების პროცენტული წილის ის მონაცემები, რომლებსაც სახლში 3 ან მეტი საკითხავი წიგნი აქვთ – დაბალია სოფლად (66%), ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ბავშვებისთვის (54.8%), განსაკუთრებით დაბალია ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბავშვებისთვის (14.5%). აქაც მკვეთრი უთანასწორობა იკვეთება კეთილდღეობის ინდექსის კვინტილების მიხედვით – უმდიდრეს კვინტილში ბავშვების 99%-ს აქვს სახლში საკითხავი წიგნები, ხოლო უღარიბეს კვინტილში – მხოლოდ 50%-ს.

კვლევა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ქვეყანაში ისევ განსაკუთრებული სიმწვავით დგას ბავშვის ადრეული განვითარება – მასტიმულირებელი და მზრუნველი გარემო, წიგნებსა და სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობა, ურთიერთობა გულისხმიერ და ყურადღებიან მზრუნველებთან, ადეკვატური კვება, ხარისხიანი, ადრეული ასაკის შესაბამისი განათლება და უსაფრთხო გარემო. *„ბავშვები მთელი რიგი რისკების წინაშე დგანან, როგორიცაა: სიღარიბე; არასახარბიელო ჯანმრთელობა; ოჯახში და ბავშვის გარემოში მაღალი დონის სტრესი და დაუცველობა ძალადობისაგან, შეურაცხყოფა, უყურადღებობა და ექსპლუატაცია; ასევე, არასათანადო მოვლა და სწავლის შესაძლებლობები, უთანასწორობა, რის გამოც მათ, შესაძლოა, ვერ მიაღწიონ პოტენციალს. ბავშვობის ადრეულ წლებში ინვესტიციის ჩადება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ხარჯეფექტური გზაა იმისათვის, რომ შემცირდეს ის სხვაობა, რომელიც ხშირად დაბალი სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების ბავშვებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.“* – ვკითხულობთ კვლევის ანგარიშში.

2-4 წლის ბავშვების ადრეულ სტიმულირებასა და სათანადო მზრუნველობაში დედები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (60%), ხოლო მამათა მონაწილეობა გაცილებით ნაკლებია (8%).

საბავშვო ბაღებში სწავლა დაკავშირებულია დასახლების ტიპთან, ასაკსა და კეთილდღეობასთან. იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიან, ქალაქის ტიპის დასახლებებში, 16 პროცენტული პუნქტით მაღალია სოფლის ტიპის დასახლებებთან შედარებით. საბავშვო ბაღში დასწრება 10 პროცენტული პუნქტით მაღალია 4 წლის ბავშვებში, 3 წლის ბავშვებთან შედარებით. პირდაპირი კავშირი არსებობს საბავშვო ბაღში სწავლასა და სიღარიბეს შორის – უმდიდრეს ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა პროცენტული წილი, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიან, 26 პუნქტით აღემატება უღარიბესი კვინტილის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ბავშვების 94% საჯარო ბაღში დადის, ხოლო 6% – კერძო ბაღში, ბავშვების მხოლოდ 1% – სხვა ტიპის საბავშვო ბაღში.

5 წლამდე ბავშვების 64% მაღაზიაში ნაყიდი სათამაშოებით თამაშობს, 94% – საოჯახო ნივთებით, მათ შორის, სახლის გარეთ ნაპოვნი ნივთებით, ხოლო ბავშვების შედარებით მცირე პროცენტული წილი კი – თვითნაკეთი სათამაშოებით (12%). ბავშვების 44%-ს არ აქვს, მინიმუმ, 3 საბავშვო წიგნი.

5 წლამდე ბავშვების 4%, ამ კვლევის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, დატოვეს არასათანადო მეთვალყურეობის ქვეშ, მარტო ან 10 წლამდე სხვა ბავშვის მეთვალყურეობის ქვეშ, ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში. მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება რეგიონებს შორის, გურიაში ეს მაჩვენებელი 2%-ს შეადგენს, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთში – 8%-ს.

კლასტერული კვლევა ყურადღებას ამახვილებს ბავშვობის ასაკში ქორწინებაზე, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მოზარდების განვითარებისთვის.

კვლევის მიხედვით, ადრეული ქორწინების მაჩვენებლები ასეთია: 20-24 წლის ასაკის ქალების 14% 18 წლამდე იყო დაქორწინებული.

ბავშვობის ასაკში ქორწინება პრობლემაა მთელ ქვეყანაში, თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებს შორის. ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები 20-24 წლის ქალების 8% დაქორწინებული იყო 18 წლამდე, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 25% იყო დაქორწინებული ან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში, სრულწლოვანი ასაკის მიღწევამდე. ისინი კეთილდღეობის ინდექსის უღარიბეს კვინტილს მიეკუთვნებიან, ხოლო უმდიდრეს კვინტილურ ჯგუფში ანალოგიური მაჩვენებელი 4%-ს შეადგენს.

ადრეულ ქორწინებასა და განათლებას შორის არსებულ კავშირს რაც შეეხება, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ 20-24 წლის ასაკის ქალთა 47%-ს, რომელიც დაქორწინებული იყო ან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში 18 წლამდე, მიღებული აქვს დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლება, 25%-ს – სრული საშუალო განათლება, 11%-ს – პროფესიული განათლება, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე მხოლოდ 3% აღმოჩნდა.

20-49 წლის ქალების წილი, რომლებიც დაქორწინებული იყვნენ 18 წლამდე, ყველაზე მაღალია ქვემო ქართლში (25%), ყველაზე დაბალი – თბილისში (12%). მნიშვნელოვანი სხვაობაა ასაკობრივ ჯგუფებს შორის ადრეული ქორწინების თვალსაზრისით. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი როგორც 15 წლამდე ქორწინების, ასევე 18 წლამდე ქორწინების შემთხვევაში, 40-44 წლის ქალებში დაფიქსირდა და, შესაბამისად, 3 და 27 პროცენტი შეადგინა.

„18 წლის ასაკამდე ქორწინება მრავალი გოგონასათვის რეალობას წარმოადგენს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მშობლები თავიანთ ქალიშვილებს დაქორწინებისკენ მოუწოდებენ მაშინ, როდესაც ისინი ჯერ კიდევ მოზარდები არიან, იმ იმედით, რომ მათი ქორწინება სარგებელს მოუტანს მას და მშობლებსაც როგორც ფინანსურად, ასევე სოციალურად და ამასთან, მათ ოჯახს ფინანსური წნეხისაგან გაათავისუფლებს. ფაქტობრივად, ბავშვობის ასაკში ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევას წარმოადგენს, რაც ხელს უშლის გოგონების განვითარებას და ხშირად განაპირობებს ადრეულ ასაკში ორსულობას და სოციალურ იზოლირებას, ხოლო განათლების დაბალი დონე და არადამაკმაყოფილებელი პროფესიული განათლება სიღარიბის გენდერულ ასპექტს განამტკიცებს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებულია „თავისუფალი და სრული“ თანხმობის განცხადების უფლება ქორწინებაზე იმის გათვალისწინებით, რომ თანხმობა ვერ იქნება „თავისუფალი და სრული“, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ არის საკმარისად მოწიფული იმისათვის, რომ ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს ცხოვრების პარტნიორის ასარჩევად.“ – ნათქვამია ანგარიშში.

❖ ❖ ❖

კვლევის მიზანია, სახელმწიფომ შეცვალოს ბავშვების კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული სტატისტიკის ვექტორი, რომელიც, სამწუხაროდ, გაუარესებას გვამცნობს – ბავშვებზე საქართველოში ისევ ძალადობენ, ძალადობენ მშობლები, რადგან აღზრდის ამგვარ მეთოდებს ამართლებენ სრულიად დარწმუნებულები იმაში, რომ მათ მომავალს ამით „გააკეთილშობილებენ“. გაკეთილშობილების რა მოგახსენოთ, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია იმ 31% ბავშვის სახე, რომელიც „მოძალადის“ დასარტყმელად აწეული ხელის მოსაგერიებლად პატარა უსუსური ხელებით ცდილობს თავის დაცვას. ხან გამოსდით, ხან არა... მსხვერპლი თვალცრემლიანი ფიქრობს: რით დავიმსახურე? მეც გავიზრდები?! მერე თავჩაქინდრული (ძალადობის ნაკვალევით) სისასტიკის მსხვერპლი მოზარდი სკოლაში მიდის (ალბათ, შურის თვალით უყურებს თანატოლს, რომელსაც, მისგან განსხვავებით, გაუმართლა, მოძალადე მშობელი არ ჰყავს), ან სულაც არ მიდის, ქუჩაში გადის (იძულებით) სარჩოს მოსაპოვებლად. საზოგადოება კი გაკვირვებული და ვიშვიშით ადევნებს თვალს საინფორმაციო საშუალებებით გამოცხადებულ ბულინგის ფაქტებს... „რა დაუნდობლები არიან? როგორ იმეტებენ ერთმანეთს?“ უკვირს. გასაკვირი სულაც არ არის, მას ეს ოჯახში ასწავლეს...

ვასუნთქებთ ტყვიით გაჟღენთილ ჰაერს, ვასმევთ დაბინძურებულ წყალს, ვძალადობთ ყველა ძალადობრივი ფორმით, რაც არსებობს, ვკვებავთ არასრულფასოვნად... ვათხოვებთ ბავშვობის ასაკის გოგონებს იმიტომ, რომ ასეა საჭირო, გაცნობიერებული დედობის უფლებასაც ჩვენივე ჩარევით ნაადრევად ვართმევთ (ესეც ასეა საჭირო)... სახლში მათი განვითარებისთვის წიგნებსა და სათამაშოებს ვერ ან არ ვყიდულობთ... და მაინც გვიკვირს, გვიკვირს მათ მიერ გამოხატული აგრესია? სამაგიეროდ, უხვად ვასაჩუქრებთ რისკებით, რაც მათი განვითარების პოტენციალს ზღუდავს. დამღად დასმული სიღარიბე და სოციალური სტატუსი, სტრესი და დაუცველობა, ექსპლუატაცია და ძალადობრივი აღზრდა კი, ბუნებრივია, სახარბიელო მომავალს ვერ შექმნის. საზოგადოება ამაზე ფიქრით თავს არ იწუხებს, სახელმწიფო კი – ზრუნვით. კვლევის უმთავრესი მიზანი კი პირიქითაა – საქართველოს მთავრობამ ეს მონაცემები უნდა გამოიყენოს მოწყვლადი ოჯახებისა და ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესების პოლიტიკის დაგეგმვაში, თორემ რეალობას თუ თვალს გაუსწორებ, სავალალო სტატისტიკა, კონკრეტული ციფრებისა და პროცენტების გარეშე, ისედაც თვალნათელია.

ახალი ამბები

ბულინგის წინააღმდეგ

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ეკატერინე დგებუაძემ** და საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელმა, **გელა გელაძემ** სკოლებში ბულინგის პრევენციის საკითხებზე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის მთავარ მიზანს ბულინგის წინააღმდეგ განხორციელებული საქმიანობის გაცნობა და ამ მიმართულებით მხარეების თანამშრომლობის ფორმატისა და სამომავლო გეგმების განსაზღვრა წარმოადგენდა.

შეხვედრის ფარგლებში საუბარი შეეხო, ბულინგის პრევენციის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებულ ინიციატივებსა და პროექტებს. შეხვედრის მონაწილეებმა, ასევე, განიხილეს ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მიღწევები, გამოწვევები, მათ მიერ განხორციელებული პროექტები და სამომავლო პერსპექტივები. შეხვედრის ბოლოს ყველა მხარემ გამოთქვა ურთიერთთანამშრომლობის სრული მზაობა, ზემოაღნიშნული პრობლემის დაძლევის მიზნით.

არასამთავრობო სექტორთან შეხვედრების მთავარი მიზანია ბულინგის წინააღმდეგ საბრძოლველად სისტემური ხედვის ჩამოყალიბება, პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა.

2019 წელს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინიციატივით ბულინგის პრევენციისთვის:

- სკოლებში ჩატარდა 36 შეხვედრა;
- 9 საპილოტე სკოლაში გადამზადდა პერსონალი;
- 63 სკოლაში გადამზადდა 972 პედაგოგი და 52 ფსიქოლოგი;
- თანასწორგანმანათლებელთა მომზადებისათვის, 9 საპილოტე სკოლიდან, გადამზადდა 12 მასწავლებელი და მანდატურის სამსახურის 4 თანამშრომელი;
- კიბერუსაფრთხოებისა და გაჯეტდამოკიდებულების პრევენციის მიზნით, 9 საპილოტე სკოლიდან, გადამზადდა 12 მასწავლებელი და მანდატურის სამსახურის 18 თანამშრომელი;
- მშობლების ცნობიერების ამაღლების მიზნით, 4 სკოლაში ჩატარდა 6 შეხვედრა და გადამზადდა 70 მშობელი.

მომავალში დაგეგმილია:

- ელექტრონული საკონსულტაციო პლატფორმის შექმნა;
- სასკოლო მედიაციის კომპონენტის დანერგვა;
- ცენტრში მომსახურების მიმღებთა მონაცემებზე დაყრდნობით, ბულინგის შემთხვევების სტატისტიკური მონაცემების დამუშავება.

საერთაშორისო ფორუმი

8-10 დეკემბერს თბილისი ევრონესტის (Euronest) საპარლამენტო ასამბლეის მე-8 სესიას მასპინძლობდა, რომლის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ, **ირინე აბულაძემ** სოციალური, განათლების, კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების საკითხთა კომიტეტის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მინისტრის მოადგილემ ევროპარლამენტარებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და საქართველოს პარლამენტის წევრებს, 22 ნოემბერს, ქალაქ ბრიუსელში გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების განათლების მინისტერიალის შედეგები გაუზიარა.

ირინე აბულაძემ ისაუბრა ევროპული განათლების სივრცეში საქართველოს ინტეგრაციისა და ამ მიმართულებით უკვე განხორციელებული პროექტების შესახებ, მათ შორის:

- საქართველოში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს მოსწავლეებისთვის ევროკავშირის ხელშეწყობით ევროპული სკოლის გახსნის მნიშვნელობაზე, რომელიც, ევროკავშირის ინიციატივით, პირველად ხორციელდება ევროკავშირის ფარგლებს გარეთ. ევროპული სკოლის საქართველოში დაფუძნების საკითხი, ევროკავშირის მიერ, 2020 წლისთვის შემუშავებულ 20 ძირითადი მიზნიდან ერთ-ერთია და მას რეგიონში ანალოგი არ ეყოლება;
- უმაღლესი განათლების მიმართულებით, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელში (ENQA) საქართველოს გაწევრიანებასა და Erasmus+ პროგრამაში წარმატებულ მონაწილეობაზე. აგრეთვე, მეცნიერების სფეროში ევროკავშირთან თანამშრომლობასა და ევროკომისიის პანევროპულ ინიციატივაში EURAXESS-ში გაწევრიანების შესახებ;
- პროფესიული განათლების სფეროში საქართველო-ევროკავშირს შორის, 2018 წლის ნოემბერში, გაფორმებული მასშტაბური საბიუჯეტო დახმარების მნიშვნელობაზე, რომელიც ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარებას ითვალისწინებს;
- ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში მიმდინარე ახალ ინიციატივებზე, რაც საპენსიო ასაკს მიღწეული მასწავლებლებისთვის ფულადი ჯილდოს დაწესებას, მასწავლებლების სერტიფიცირებისა და სწავლების მოდერნიზების პროცესს გულისხმობს.

ევროკომისიის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და განაცხადეს, რომ ევროკავშირის მიერ ახალი პრიორიტეტების განსაზღვრისას დიდი ყურადღება დაეთმობა განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებს. ეს კი, უფრო მეტ ქართველ სტუდენტსა და მოსწავლეს მისცემს საშუალებას, ისარგებლონ მობილობის მრავალფეროვანი პროგრამებითა და სხვა ბენეფიტებით.

ევრონესტი წარმოადგენს ფორუმს, რომელიც 2011 წელს დაფუძნდა ევროკომისიის მიერ, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის კომპონენტი. ფორუმში ევროპარლამენტისა და საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას, აზერბაიჯანისა და სომხეთის პარლამენტის წევრები მონაწილეობდენ და ევროკავშირთან უფრო მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარებას უწყობენ ხელს.

ქართველი მოსწავლეები ბირთვული კვლევების ცენტრში

ლალი თვალაბეიშვილი

ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების ოლიმპიადებში გამარჯვებული, ბაქსვუდის სამეცნიერო სკოლის მონაწილე საუკეთესო მოსწავლეები და მათი პედაგოგები შვეიცარიაში, ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN) იმყოფებოდნენ.

ტექნოლოგიური მეცნიერებებით დაინტერესებული მოსწავლეების ცერნში ვიზიტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა, რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობის მოზიდვა და დაინტერესება ფიზიკით, ფუნდამენტური კვლევებით, ინჟინერიით, IT ტექნოლოგიებითა და მათემატიკით.

რამდენიმედღიანი სტუმრობისას, მოსწავლეები ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შეხვდნენ. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ იმ უახლეს ტექნოლოგიებს, აღმოჩენებსა და მნიშვნელოვან პროექტებს, რაზეც ცერნის მეცნიერები მუშაობენ. საინტერესო იყო ქართველი მეცნიერების, **ირაკლი მინაშვილისა** და **ალექსანდრე მესტვირიშვილის**, ატლასისა და CMS ექსპერიმენტები, რომელიც 90 მეტრის სიღრმეზე, ულტრათანამედროვე და მასშტაბურ ლაბორატორიაში მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ატლას და CMS ექსპერიმენტები დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე მიმდინარე სამ უდიდეს ექსპერიმენტს შორისაა.

ცერნში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა ფიზიკით გატაცებული ქართველი მოსწავლეებისთვის საგანგებოდ მომზადებული, ცერნში მათი საქმიანობის ამსახველი პრეზენტაციები წარმოადგინეს, შემდეგ კი, რამდენიმესაათიანი შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მეცნიერებმა ვრცლად ისაუბრეს განვლილ გზაზე და ახალგაზრდებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს. მათ დადებითად შეაფასეს საქართველოს განათლების სამინისტროს პროექტი, რომელიც ყოველწლიურად, ფიზიკით, ტექნოლოგიებითა და მათემატიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, ეწვიონ მსოფლიო მნიშვნელობის ატომური კვლევების ცენტრს, უშუალოდ იხილონ სამყარო, სადაც მასშტაბური ექსპერიმენტები, უდიდესი აღმოჩენები ხორციელდება და რომელშიც ათასობით მეცნიერია ჩართული მთელი მსოფლიოდან.

ახალგაზრდების შეფასებით, ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში გატარებული დღეები მათ მომავალი პროფესიის არჩევას გაუადვილებს, ვინაიდან, ცერნში ჩატარებული მასტერკლასი ფიზიკით გატაცებული მოსწავლეებისთვის რეალური გზაა საინტერესო მომავლისკენ.

დემეტრე გელაშვილი: *„მიხარია, აქ რომ ვარ, ცერნის ლაბორატორიაში. ექსკურსია საკმაოდ საინტერესო იყო, ბევრი ახალი რამ გავიგე კვანტურ ფიზიკაში და, ზოგადად, ამ სფეროში. საამაყოა, რომ ჩვენი ქართველი მეცნიერებიც მუშაობენ ამ ლაბორატორიაში და მინდა, მომავალში, მეც მათთან ერთად ვიმუშაო. ყველაფერი ძალიან მომეწონა და იმედებიც გამიმართლდა.“*

ლუკა კირთაძე: *„სერიოზული ლაბორატორია ვნახეთ, მსოფლიოში უდიდესი და ძალიან მნიშვნელოვანი. მოხარული ვარ. ჯერჯერობით ფიზიკა მიტაცებს, მაგრამ არ ვიცი საბოლოოდ რა პროფესიას ავირჩევ. პრაქტიკულად ვნახე, როგორია ფიზიკოსობა, მეცნიერობა და, მე პირადად, ეს ძალიან დამეხმარება მომავალი პროფესიის არჩევაში.“*

იოანე კაპანაძე: *„ცერნი, ზოგადად, ძალიან დიდი ხანია მაინტერესებს. მისი არსებობის შესახებ, სამიოდე წლის წინ გავიგე, მერე რაღაც მასტერკლასებსაც დავესწარი და დაახლოებით ვიცოდი რა ხდებოდა აქ. ძალიან მაინტერესებდა და ოცნებად მქონდა, ერთხელ მაინც მენახა, აქაურ სიტუაციას გავცნობოდი. ოცნება ამიხდა. ზაფხულში რომ დამირეკეს და მითხრეს, რომ ბანაკის ერთ-ერთ გამარჯვებულად მე ამირჩიეს, ძალიან გამეხარდა. ეს ჩემთვის დიდი გამოცდილებაა. თუნდაც შემანელებლებში რომ ჩავედით, ხელშესახებად გვქონდა ამხელა კოლაიდერები, ძალიან მაგარი იყო. უფრო დეტალურად გავიგე ბევრი რაღაც ცერნის შესახებ, ზოგადადაც.“*

სანდრო ინასარიძე: *„მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა მოვხვედრილიყავი მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ ლაბორატორიაში. რა თქმა უნდა, მქონდა ინფორმაცია ცერნზე, მაგრამ ჩემი თვალით როდესაც ვნახე, გაცილებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩემთვის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ქართველ მეცნიერებთან შეხვედრა და საუბარი. მოვისმინეთ საინტერესო ლექციები. ასევე, ვიყავით 89 მეტრის სიღრმეზე და ვნახეთ ამაჩქარებელი, რამაც ასევე აღმაფრთოვანა. ამ ვიზიტმა მომცა სტიმული, რომ ჩემი პროფესიული არჩევანი ტექნიკური განხრით გავაკეთო.“*

პედაგოგს, **არჩილ გელაშვილს** მიაჩნია, რომ ეს პროექტი ძალიან სასარგებლოა მოსწავლეებისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ ბავშვი, რომელიც ფიქრობს ჩააბაროს თუ არა ფიზიკის ფაკულტეტზე, ამ ლაბორატორიას რომ ნახავს, მისი აზრით, აუცილებლად გადაიხრება ფიზიკისკენ. *„ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის, ეს თეორიული ცოდნა ახალი არ ყოფილა, მაგრამ ვიზუალურად რომ ვიხილე ის, რაც თეორიულად ვიცოდი, ძალიან სასარგებლო იყო.“* – ამბობს ბატონი არჩილი.

ჯუანშერ ჯეჯელავა ცერნში მომუშავე ქართველ მეცნიერთაგან ერთ-ერთია. ამბობს, რომ იქ ჩასული ბავშვები დაინახავენ ყველაზე მნიშვნელოვან და მთავარ რამეს, რომ არსებობს ამ დარგის სიყვარული და დიდი ტრადიცია. *„ჩემზე, როგორც ფიზიკოსზე, ფიზიკით დაინტერესებულ ადამიანზე, ცერნმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ პირველად რომ მოვხვდი, იმდენად დიდი ემოცია იყო, რომ თითქოს სუნთქვა გამიჩერდა, ჩავისუნთქე და ვეღარ ამოვისუნთქე. ამ ბავშვებსაც, იმედია, ეს ნაპერწკალი გადაედებათ და მეცნიერების სიყვარულის ცეცხლს აუგიზგიზებს გულში.“*

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის მიზანიც სწორედ მოსწავლეების დაინტერესება, მოტივირება და წახალისებაა. ეს არის პროექტი, რომელიც, წარმატებული ქვეყნებისა და ადამიანების მაგალითზე, ზრდის მოსწავლეების ინფორმირებულობას და მათ კარიერის შემდგომ დაგეგმვაში ეხმარება.

ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია (CERN) მსოფლიოს უდიდესი ლაბორატორიაა ელემენტალური ნაწილაკების ფიზიკაში. აქ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ფუნდამენტული კვლევები, ხორციელდება ახალი აღმოჩენები. ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა ის ფაქტი, რომ უცხოელ მეცნიერებთან ერთად, კვლევებში აქტიურად არიან ჩართული ქართველი მეცნიერები.

ᲨᲘᲓᲐ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

ПТИЦЫ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ №6 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ, ᲥᲐᲜᲐ ᲢᲝᲜᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ (ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲣᲚᲘ) ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ

ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲘ: Тоноян Жанна
ᲡᲐᲒᲐᲜᲘ: Природоведение
ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ/ᲙᲚᲐᲡᲘ: начальная/2 класс
ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ: 24 уч-ся
ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ: Птицы
ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:

- **Научить определять понятия «Дикие», «домашние», «перелетные» птицы;**
- **Выделить общие и отличительные особенности птиц.**

№	ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ	�გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ/ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ	ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ/ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ	ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ	ᲓᲠᲝ (ᲬᲗ)
1	**ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ:** • Поздороваться с классом; • Отметить отсутствующих; • Проверка готовности к уроку; • Ознакомить учащихся с критериями оценки на уроке.	Устный инструктаж	Весь класс	Учебник, тетрадь	2წთ
2	Разминка: Наш урок – урок секретов. Сто вопросов – сто ответов. Отвечай по одному. И научишься всему (слайд1)	Вопрос-ответ, Практическое задание	Весь класс		1წთ
	ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ 1. **Закрепление пройденного:** ➢ чем отличается живой организм от неживого? ➢ Какие царства живой природы вы знаете? ➢ На какие две группы можно разделить животных? ➢ В чем отличие между дикими и домашними животными?(слайд2)	Вопрос-ответ, заполнение диаграммы Вена	Весь класс		5წთ
	ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ 2. **Переход к новой теме, самоопределение к деятельности: постановка цели и задач урока.** *Прослушивание аудиозаписи «Звуки птиц» закрыв глаза.* ➢ Что вы услышали? ➢ Каких птиц вы знаете? ➢ Кто такие птицы? (что умеют делать) ➢ Какие у них отличительные признаки?	Вопрос-ответ	Весь класс	Компьютер, динамики	5წთ
	ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ 3. • Зачем птицам клюв? • Зачем птицам перья? • Зачем птицам летать? • Почему птицы поют?(слайд3) Презентация выполненных заданий учящихся.	Выполняют практическое задание	Групповая работа	Карточки, маркеры	9წთ
	ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ 4. **Физ-минутка:** Руки подняли и помахали – это деревья шумят. В сторону руки и помахали – это к нам птицы летят. Быстро присели, руки сложили – В норке зверюшки сидят. Встали и тихо за парты все сели. Дети учиться хотят.		весь класс	компьютер, слайд-шоу	1წთ
	• На какие две группы можно разделить всех птиц? Учящиеся отвечают на заданный вопрос учителя.(слайд4)	Вопрос-ответ	весь класс		4წთ
	ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ 5. **Показ презентации о птицах.** Учитель показывает наглядно какие птицы существуют и как они живут в разных средах обитания и задает домашнее задание по учебнику.	Мозговой штурм	Весь класс	Компьютер, проектор	10წთ
	Рефлексия – по принципу 3/2/1 для закрепления темы следующие вопросы: – 3 новые информации которые вы запомнили – 2 новые информации которые вас заинтересовали – 1 понравилась больше всего	Комментарий	Индивидуальная работа	Анкеты, Доска, маркеры, карточки	2წთ
	Учитель раздает заранее подготовленные анкеты,каждый уч-ся заполняет. К концу урока каждый ученик подходит к дереву и прикрепляет кружочки разного цвета: • Красный – если вам все понравилось, все было понятно, и вы все успели; • Жёлтый – если вы считаете, что вы старались, но у вас не все получилось; • Зелёный – если вы считаете ,что вам было не понятно.	Работа с сигнальными карточками		Рубрика «активность на уроке»	1წთ

Результаты достигаемые к концу урока:

✓ Уч-ся выявили для себя отличительные качества птиц от других царств живой природы.

✓ Уч-ся отличают домашних птиц от диких,объясняют по какой причине они так считают.

✓ Имеют представления о различных средах обитания птиц, о перелетных птицах.

Рубрика оценивания

Высокая	Активно включается в процесс урока, коммуникабельный, мыслит, анализирует, оценивает и находит причину проблем. Активный в групповых работах, максимально старается продемонстрировать основные навыки.
Средняя	Периодически включается в процесс урока. Иногда анализирует текст и услышанную информацию. Участвует в групповой работе и в дискуссиях. Часто старается демонстрировать творческие навыки.
Слабая	Иногда включается в процесс урока, старается сотрудничать с другими, но в основном не получается. Затрудняется осмыслить и проанализировать текст и информацию. Пассивный в групповых работах и в дискуссиях. С трудностью проявляет нужные навыки.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ ᲐᲜᲐᲠᲔᲙᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ქართველმა ხალხმა საკუთარი სიცოცხლის ფასად შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

29 ნოემბერს, მცხეთის რაიონის ძალისის სასოფლო ბიბლიოთეკაში, ჩატარდა შოთა რუსთაველის საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ: მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის დირექტორი, ქალბატონი შორენა არჯევანიძე, ამავე ცენტრის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი მეგი მამალაძე, შოთა რუსთაველის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერი, ქალბატონი ნინო თათარაშვილი, ამავე ბიბლიოთეკის მთავარი მეთოდისტი, ქალბატონი მანანა ზარიძე; პოეტები: ქალბატონები – ნინო ქუთათელაძე და ლალი ჯაფარაშვილი, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით ღირსეული ადგილი დაიკავეს ქართულ პოეზიაში.

გულთბილი სიტყვებით გამოხატეს „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული ძალისის საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო გათენაშვილმა, პედაგოგებმა – მერი ცუღოშვილმა და ნარგიზა ჩიბუხაშვილმა; ღონისძიებას მეტი ხიბლი შემატეს მოსწავლეებმა: მარიამ წიკლაურმა, ნინო ნადიბაიძემ, ლუკა ბერიკაშვილმა, თენგიზ მნათობიშვილმა.

ელენე თაკაშვილი, ვახტანგ წიკლაური, თამუნა ნადიბაიძე, ნანა საბაშვილი, ლიდა თაკაშვილი, ანანო ხუროშვილი შთაგონებით კითხულობდნენ შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ სტრიქონებს და ამ სტრიქონებში აქსოვდნენ „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულს. ზეიმში მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეები, დავით ბაბუხადიას ხელმძღვანელობით.

დიდი მოწონება დაიმსახურა ლუკა ბერიკაშვილის მიერ შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა; ძალისელმა ხალხურმა მთქმელმა, კობა ხუროშვილმა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა; ღონისძიების წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ბიბლიოთეკარებს, ქალბატონებს – ნინო ყამბეგაშვილს, ნათია ვალიშვილსა და ია დვალიძეს.

პოეტებმა – ნინო ქუთათელაძემ და ლალი ჯაფარაშვილმა განსაკუთრებული განწყობა შეუქმნეს მაყურებელს. წაიკითხეს გენიალური პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები.

შოთა რუსთაველის საღამო ისეთი კაშკაშა ვარსკვლავი იყო, რომლის შუქიც არასოდეს გაფერმკრთალდება. ამ დღით კიდევ ერთი ღამაზი ფურცელი ჩაიწერა ძალისის სასოფლო ბიბლიოთეკისა და საჯარო სკოლის მატიანეში.

ᲔᲗᲔᲠ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ძალისის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

სამოდელო გაკვეთილი

ინტეგრირებული გაკვეთილი

მასწავლებლის სახელი, გვარი: თინა გოგალაძე
საგნობრივი კომპეტენცია: სამოდელო გაკვეთილი
ინტეგრირებული საგნები: ფიზიკა/მათემატიკა

რამ განაპირობა შერეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?

ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება განაპირობა მათემატიკაში და ფიზიკაში შესწავლილმა თემებმა, კერძოდ: **ფიზიკის** გაკვეთილებზე – სახელმძღვანელოს პირველ თავში, მექანიკური მოძრაობა: „წრფივი თანაბარი მოძრაობა“, „წრფივი თანაბარი მოძრაობის წარმოდგენა გრაფიკულად“; „წრფივი თანაბარაჩქარებული მოძრაობა“, „სიჩქარის და აჩქარების გრაფიკები“; **მათემატიკაში**, მეცხრე კლასში, მოსწავლეებმა ფუნქცია შეისწავლეს: „ფუნქციის მოცემის ხერხები“, „ფუნქციის თვისებები“, „წრფივი ფუნქცია“. გაკვეთილი „წრფივი ფუნქცია“ მოიცავდა მექანიკურ მოძრაობას და ამ მოძრაობის დამახასიათებელი ფიზიკური სიდიდეების (v, a, x, s-ის) დამოკიდებულებას დროზე. გამომდინარე აქედან, ლოგიკურია ფიზიკისა და მათემატიკის ინტეგრირება, რათა მოხდეს მათემატიკაში მიღებული ცოდნის ტრანსფერი ფიზიკაში შესასწავლ თემებში.

თემა: წრფივი თანაბარაჩქარებული მოძრაობის სიჩქარე

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ:
1. მოძრაობის სახეების ამოცნობას;
2. გრაფიკულად წარმოადგინონ მოძრაობის დამახასიათებელი ფიზიკური სიდიდეების დროზე დამოკიდებულება (წრფივი თანაბარი და თანაბარაჩქარებული მოძრაობისას);
3. მათემატიკაში ნასწავლი მასალის ფიზიკასთან დაკავშირებას;
4. ამოცანების ამოხსნას, შესაბამისი წრფივი ფუნქციის დახმარებით.

№	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო
1	**აქტივობის მიზანი:** საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. **აქტივობის აღწერა:** გაკვეთილის დასაწყისში მივესალმები კლასს, მოვაწესრიგებ საკლასო ჟურნალს, გავაცნობ გაკვეთილის თემას, მიზნებსა და შეფასების რუბრიკებს, რომელიც მოსწავლეებისთვის ცნობილია. მოვახდენ მოსწავლეების აკადემიურად თანაბარი შესაძლებლობის ჯგუფებად გადანაწილებას.	ვერბალური ახსნა	მთელი კლასი, ჯგუფები	საკლასო ჟურნალი, საშინაო დავალების რვეული, სახელმძღვანელო, პროექტორი, კომპიუტერი, შეფასების რუბრიკა (დანართი №1)	2წთ
2	**აქტივობის მიზანი:** ინტერაქტიული რესურსის გამოყენებით კითხვა-პასუხი. **აქტივობის აღწერა:** არსებული ცოდნის გააქტიურებისათვის გამოვიყენებ კითხვა-პასუხის რეჟიმს. 1. ნივთიერი წერტილის როგორ მოძრაობას ეწოდება წრფივი თანაბარი მოძრაობა? 2. რას ეწოდება თანაბარაჩქარებული მოძრაობა? 3. რა სიდიდით ხასიათდება თანაბარაჩქარებული მოძრაობა და როგორ ჩაიწერება იგი? 4. როგორ ჩაიწერება სიჩქარის დროზე დამოკიდებულება თანაბარაჩქარებული მოძრაობისას? გამოსახეთ გრაფიკულად. ***მათემატიკა:*** 1. გაიხსენეთ მათემატიკიდან რომელი ორი სიდიდე აღიწერება ამავე სახის ფუნქციით. 2. როგორია წრფივი ფუნქციის თვისებები? 3. გამოსახეთ წრფივი ფუნქცია გრაფიკულად.	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	მოსწავლეები, კომპიუტერი, პროექტორი	6წთ
3	**აქტივობის მიზანი:** წრფივი ფუნქციის გრაფიკულად გამოსახვა და გამოკვლევა. **აქტივობის აღწერა:** ერთ-ერთი მოსწავლე მუშაობს დაფასთან, რომელიც იხილავს ამოცანას ნივთიერი წერტილის მოძრაობის შესახებ. *„ნივთიერი წერტილი მოძრაობს წრფივად და თანაბრად, რომლის საწყისი სიჩქარე 8მ/წმ-ია, t=0 მომენტისათვის მის მიერ გავლილი მანძილია 5მ, მაშინ ნივთიერი წერტილის მოძრაობა აღიწერება ფორმულით:* *1) s=8t+5 2) s=8t-5 3) s=5t+8 4) s=5t-8“* ამის შემდეგ მივმართავ კლასს კითხვებით. ანალოგიურდ ავაგოთ სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი თანაბარაჩქარებული მოძრაობისას. ა) v_0=2მ/წმ, a =1მ/წმ^2 ბ) v_0 =-2მ/წმ, a =-1მ/წმ^2 1. რა კავშირია $s=s_0+vt$ და $v=v_0+at$ დამოკიდებულებას შორის? 2. როდის გადის გრაფიკი კორდინატთა სათავეში?	ფუნქციის გრაფიკის თვისებების ინტერპრეტირება სიდიდეებს შორის დამოკიდებულების გასაანალიზებლად	ინდივიდუალური	მოსწავლეები, კომპიუტერი, სლაიდ-პრეზენტაცია, პროექტორი	12წთ
4	**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებმა შეძლონ ორ დისციპლინას შორის კავშირის დამყარება. მათემატიკაში ნასწავლი წრფივი ფუნქციის თვისებების და გრაფიკის გამოყენებით ფიზიკის ამოცანების ამოხსნა. შესაბამისი დასკვნების გამოტანა. **აქტივობის აღწერა:** აქტივობას ვიწყებ ინსტრუქციის მიცემით. მოსწავლეებს ვყოფ 3 ჯგუფად. **I ჯგუფი:** ვთავაზობ შემდეგი სახის დავალებას – ააგონ გრაფიკი v=1+3t, განტოლებაში ამოიცნონ სიჩქარისა და აჩქარების მნიშვნელობა. შენელებული მოძრაობისას როგორ ჩაიწერება იმავე სახის განტოლება, ჩაწერონ იგი და იმავე გრაფიკზე ააგონ. **II ჯგუფი:** ფორმატზე წინასწარ გამზადებულია ორი სხეულის თანაბარაჩქარებული მოძრაობის სიჩქარის მოდულის დროზე დამოკიდებულების ორი გრაფიკი. მოსწავლეები უპასუხებენ შემდეგ კითხვებს: ა) გამოთვალეთ აჩქარებები და შეადარეთ ერთმანეთს. ბ) რომელი სხეული მოძრაობს უფრო სწრაფად. **III ჯგუფი:** პროექტორის ეკრანზე გამოჩნდება თანაბარაჩქარებული მოძრაობის ორი გრაფიკი. მოსწავლეები უპასუხებენ შემდეგ კითხვებს: ა) როგორ მოძრაობს თითოეული სხეული? ბ) რისი ტოლია თითოეული სხეულის საწყისი სიჩქარე? გ) რისი ტოლია თითოეული სხეულის აჩქარება?	წინასწარ მომზადებული საკითხები ჯგუფის წევრებისთვის, სახაზავი, ფანქარი, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი	13წთ
5	**აქტივობის მიზანი:** თითოეული ჯგუფის მიერ შერჩეული მოსწავლე (ლიდერი, პრეზენტატორი) აუდიტორიის წინაშე წარმოადგნს თავისი ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანის, ნამუშევარს გადასაჭრელი ამოცანის (წრფივი ფუნქციის) შესახებ და ჯგუფის თითოეული წევრის დამსახურებას ამ ამოცანის გადაჭრაში. **აქტივობის აღწერა:** ჯგუფები მოკლედ და ლაკონურად ახდენენ შესრულებული დავალების პრეზენტირებას. ყველა ჯგუფს ეძლევა 3-4 წუთი.	შესრულებული დავალების პრეზენტაცია	პრეზენტატორები	მოსწავლე, ფლიფჩარტი, დაფა, ცარცი, მარკერი, მოსწავლეების მიერ ფორმატზე შექმნილი პრეზენტაციები	5წთ
6	**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებმა გააკეთონ დასკვნები შესწავლილ საკითხებთან დაკავშირებით. **აქტივობის აღწერა:** როგორი სახე აქვს ჩვენ მიერ განხილულ გრაფიკებს წრფივი თანაბარი და წრფივი თანაბარაჩქარებული მოძრაობისას?	შესრულებული დავალების შეჯამება	მთელი კლასი	მოსწავლეები	2წთ
7	**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა შეფასება და ჯგუფების ნამუშევრების შეფასება. **აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს ვაძლევ განმავითარებელ უკუკავშირს, ხოლო ჯგუფს ვაფასებ განმსაზღვრელი შეფასებით.	ვერბალური	მასწავლებელი და მოსწავლეები	შეფასების რუბრიკა (დანართი №1)	4წთ
8	**აქტივობის მიზანი:** საშინაო დავალების მიცემა. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებად აძლევს სავარჯიშოში მოცემულ დავალებას.	ვერბალური ახსნა	მასწავლებელი, მოსწავლეები	ფიზიკის სახელმძღვანელო	1წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები

ფიზიკა.IX.5. მოსწავლეს შეუძლია სხეულთა თანაბარი მოძრაობის აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ამოიცნობს მოძრაობის სახეს კოორდინატისა და სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკით და ითვლის მოძრაობის დამახასიათებელ სიდიდეებს;
- გრაფიკულად წარმოადგენს მოძრაობის დამახასიათებელი ფიზიკური სიდიდეების დროზე დამოკიდებულებას;
- ადეკვატურად იყენებს შესაბამის ფორმულასა და ერთეულებს პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

მათ.IX.6. მოსწავლეს შეუძლია ფუნქციებისა და მათი თვისებების გამოყენება სიდიდეებს შორის დამოკიდებულების აღსაწერად და გამოსაკვლევად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ახდენს ფუნქციის გრაფიკის თვისებების (დახრის კოეფიციენტი და საკოორდინატო ღერძებთან გადაკვეთა) ინტერპრეტირებას სიდიდეებს შორის დამოკიდებულების გასაანალიზებლად.

დანართი №1
ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	1	2	3	4
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება	ჯგუფმა სამუშაო მიზანი ვერ გააცნობიერა.	ჯგუფმა სამუშაო მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა.	ჯგუფმა სამუშაო მიზანი გააცნობიერა.	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა.
ჯგუფის წევრების მიერ მექანიკური მოძრაობის სახეების ამოცნობა	ვერ ამოიცნობს მექანიკურ მოძრაობას.	ნაწილობრივ ამოიცნობს.	ამოიცნობს მცირე ხარვეზებით.	სრულყოფილად ამოიცნობს მოძრაობის სახეებს.
მექანიკური მოძრაობის სახეების გრაფიკული წარმოდგენა	მექანიკური მოძრაობის სახეებს ვერ წარმოადგენს გრაფიკულად.	ნაწილობრივ ახდენს მოძრაობის სახეების გრაფიკულად წარმოდგენას.	მექანიკური მოძრაობის სახეებს წარმოადგენს გრაფიკულად მხოლოდ მცირე ხარვეზით.	ზედმიწევნით სრულყოფილად აგებს გრაფიკს.
ფიზიკაში ნასწავლი მასალის მათემატიკასთან დაკავშირება	ფიზიკაში ნასწავლ მასალას ვერ აკავშირებს მათემატიკასთან.	ფიზიკაში ნასწავლ მასალას ნაწილობრივ აკავშირებს მათემატიკასთან.	ფიზიკაში ნასწავლ მასალას აკავშირებს მათემატიკასთან.	ზედმიწევნით კარგად აკავშირებს მათემატიკასთან.

თინა გოგალაძე
სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლის ფიზიკის წამყვანი მასწავლებელი

პროფესიონალთა კლასი

წარმატებული დამრიგებელი

რაც კაცობრიობას თავის არსებობის მანძილზე დაუწესებია, ეს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების უმთავრესი მოვალეობაა. ამიტომაც ყველა ეპოქის უმთავრესი საზრუნავი სწავლისა და განათლების საკითხი გახლდათ. მთავარი ღერძი ამ უაღრესად მნიშვნელოვან ფენომენში, ხელისუფლების ნებასთან ერთად, მასწავლებლის როლია, რომელსაც სულის ინჟინერს უწოდებენ.

ქართველი კაცი ყოველთვის ჯეროვან პატივს მიაგებდა მოძღვარს, როგორც ზნეობის ბურჯს, ეროვნული სულიერების დედაბოძს. დიდი წინაპარი, ილია ამბობდა, სწავლება „ სულიერი თვალის ახილებაა“. ახალგაზრდების სულიერი აღზრდა, მათი მეცნიერულ საფუძვლებზე სწავლება და ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბება, განათლების ეროვნული მიზნებია.

კოლხური მზით გამთბარი, ძირძველი ეგრისის ნაფუძარზე აღმოცენებულ სენაკში არაერთი საჯარო და კერძო სკოლა-სასწავლებელია, სადაც მოსწავლეების აღზრდა და სწავლება მაღალ დონეზე მიმდინარეობს. მათ შორისაა, ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლა, საქვეყნოდ ცნობილი თავისი მიღწევებითა და გამოცდილი პედაგოგიურო კოლექტივით (დირექტორი – **დემნა ჭანტურია**).

ამ სკოლის სადიდებლად კმარა დავასახელოთ, რომ აქ დაფრთიანდა ჟიული შარტავა; ქართულ-ებრაული კულტურის დიდი მოამაგე, მწერალი და მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილი; ამჟამად მოქმედი პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია; პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ბერაია; არაერთი აკადემიკოსი, ხელოვნებისა და კულტურის დამსახურებული მოღვაწე და ა.შ.

ამ მონაცემების მოხმობა იმიტომ დამჭირდა, მკითხველს თვალნათლივ დავანახო, რომ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს შრომა უფასდება. მათ შორის გამორჩეულია ღვაწლმოსილი მასწავლებელი, ათეული წლების განმავლობაში წარმატებული დამრიგებელი – **გულნარა ბარკალაია**, რომელიც პედაგოგიური კოლექტივის ნათელი სახეა. იგი 36 წელია ღირსეულად ემსახურება თაობათა აღზრდას, გამოირჩევა მიზანდასახულობით და ენერგიულობით. ზრუნავს არა მხოლოდ საკუთარი საგნის (გეოგრაფია) მაღალ დონეზე სწავლებაზე, არამედ, როგორც კლასის დამრიგებელი, სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად, მოსწავლეთა გონივრული და ფიზიკური უნარების განვითარებაზე, სხვადასხვა კლუბებსა და წრეებში მათ ჩაბმაზე. ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სამოქალაქო, პატრიოტული, ესთეტიკური ცნობიერების ამაღლებას, მსოფლმხედველობის დახვეწას.

მისი ლოგიკა ამგვარია, *„ყოველი ამოცანა იოლად მოგეჩვენებათ, თუკი ისწავლით როგორ გადაწყვიტოთ ისინი“*. დიახ, გულნარა ბარკალაიას პედაგოგიური თეორია და პრაქტიკა მაღალ შედეგზეა გათვლილი, ამაში ქვემოთ მოყვანილი მაგალითებით დავრწმუნდებით.

მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები, საგანმანათლებლო შემეცნებითი ღონისძიებების ფარგლებში, აქტიურად ჩაებნენ კვირეულის „ნატო და საქართველო“ ეგიდით ჩატარებულ ესეების კონკურსში. ქალბატონი გულნარას სადამრიგებლო კლასის მონდომებამ შედეგი გამოიღო, სამმა მოსწავლემ: **მარიამ გოგიამ**, **ქეთევან ლატარიამ** და **ანი ჩიქოვანმა** უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს. ამ სასიამოვნო ფაქტთან დაკავშირებით, სკოლაში გაიმართა დასკვნითი ნაწილი, რომელსაც ესწრებოდნენ: ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში **როსარია პუგლისი**, აშშ-ს საელჩოს თავდაცვის ატაშე **ალექსანდერ პრაისი**, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილი**, მისი მოადგილე, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი **ირაკლი ბერაია**, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ოთარ დანელია**, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი **ალექსანდრე მოწერელია**, თავდაცვისა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები.

მაღალი რანგის წარმომადგენელთა შეხვედრაზე სათანადო დიპლომებით დააჯილდოვეს კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები და მათი დამრიგებელი. მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი ხედვა, თუ როგორ ესმით „ნატო-საქართველოს“ ურთიერთობა. შემდეგ გაიმართა საინტერესო და სასარგებლო საუბრები, რომ გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიული განვითარების დაცვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია პარტნიორობა სამხედრო გაერთიანება ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკთან, ჩვენი თავდაცვის ძალების წვრთნისა და საბრძოლო პოტენციალის ასამაღლებლად. საუბრებში აქტიურად მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრები.

ღონისძიება უაღრესად სასარგებლო იყო იმ მხრივ, რომ მოზარდმა თაობამ გაიაზროს საქართველოს პრიორიტეტები საგარეო საკითხებში – ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება პარალელური ეროვნული მიზნებია.

მიზანსწრაფულ პედაგოგს მიაჩნია, რომ მოზარდების ჩართულობა ამგვარ აქტივობებში სასარგებლო და აუცილებელია. 2018-2019 სასწავლო წელს გულნარა ბარკალაია მე-5 კლასის დამრიგებელი გახდა. ჩათვალა, რომ მოსწავლეები თავიდანვე უნდა მიეჩვიონ შემოქმედებით აქტიურობასა და კრიტიკულობას. სკოლის დირექციისა და მშობლების აქტიური მონაწილეობით, მიმდინარე წლის ოქტომბერში, ჩაატარა სახალისო, გონიერების, სისხარტისა და თვითდაჯერებულობის დღესასწაული „ინტელექტუალური თამაში – 2019“. ღონისძიება იყო საჯარო, ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან კუპრეიშვილი** და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის და რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ღონისძიება დადებითი ემოციებით იყო დატვირთული. მოსწავლეებმა თავი გამოიჩინეს სხვადასხვა ნომინაციებში – „მხატვრული კითხვის ნორჩი ოსტატები“, „ვიოლინოს პატარა ჯადოქარი“, „ყველაზე კრეატიული გუნდი“, „მაყურებელთა სიმპათია“, „ჟიურის რჩეული“ და სხვ. „წლის ინტელექტუალი“ გახდა გუნდის „ნოუ ჰაუ“ კაპიტანი **ამირან გოგია**, მასვე ხვდა წილად ტიტული „მაყურებელთა სიმპათია“.

მშვენიერი და საინტერესო გამოდგა ღონისძიება, რომელიც გასულ წელს ივნისში მოაწყო გამოცდილმა დამრიგებელმა. ეს აქტივობა დაემთხვა მისი სადამრიგებლო მეთორმეტეკლასელების ბოლო ზარს, როცა სენაკის საზეიმოდ მოწყობილ კინოთეატრში მოწვეული იყვნენ ჟიული შარტავას სახელობის საჯარო სკოლის ის კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ შრომით საქმიანობას სხვადასხვა პროფესიებში.

ორი თაობის შეხვედრა მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და იმაზე გათვლილი, რომ მოსწავლეებს ეგრძნოთ და გაეთავისებინათ სწავლის ფასი. როგორც გურამიშვილი ბრძანებს: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“.

გამოცდილმა დამრიგებელმა იცის, რომ საქართველოს მომავალი თითოეული სკოლიდან, თითოეული საკლასო ოთახიდან, თითოეული მოსწავლიდან იწყება, ამიტომაც იღვწის და უნარსა და შესაძლებლობას არ იშურებს მაქსიმალური შედეგის მისაღწევად.

გულნარა ბარკალაია არა მხოლოდ სასკოლო საქმიანობაშია აქტიური, მას გაცნობიერებული აქვს, რომ უპირველეს ყოვლისა მოქალაქეა, საზოგადო პირი, რომელსაც საკუთარი წილი პასუხისმგებლობა აკისრია თავისი ქალაქისა და ქვეყნის წინაშე, ამიტომ აქტიურად მონაწილეობს რაიონის კულტურულ ცხოვრებაში.

ამგვარ აღმზრდელებზეა გათვლილი განათლების ახალი რეფორმა.

ბორის დავითაია
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

ახალი ამბები

განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის კარიერული ფორუმი

მულტიფუნქციურ სივრცეში „ტერმინალი“, „განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის“ ორგანიზებით, კარიერული ფორუმი გაიმართა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ცენტრის კურსდამთავრებულთა დაახლოებას მათთან პროფესიულად დაკავშირებულ ორგანიზაციებთან. ფორუმში ასოციაციის 60-მდე წევრმა და 20-მდე კერძო თუ სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელებმა/წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ფორუმი უკვე მეოთხედ გაიმართა. ღონისძიებაზე ახალგაზრდა პროფესიონალებმა, რომლებმაც განათლება და გამოცდილება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მიიღეს, საკუთარი გამოცდილება, თანამშრომლობისა და ჩართულობის შესაძლებლობები გაუზიარეს მონაწილე ორგანიზაციებს და თავადაც გაეცნენ მათი საქმიანობის სპეციფიკას.

კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი უკვე დასაქმებულია და განიხილავს კარიერული განვითარების ახალ შესაძლებლობებს, მეორე ნაწილი კი – ახლახან დაბრუნდა ქვეყანაში და მზადაა ახალი პროფესიული გამოწვევების მისაღებად.

კურსდამთავრებულთა ასოციაცია 2018 წელს დაფუძნდა და ცენტრის სხვადასხვა სასტიპენდიო პროგრამების ბენეფიციარებს აერთიანებს.

ასოციაციის მიზნებია:

- კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა და გაძლიერება;
- ასოციაციის წევრთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- განვითარებაზე ორიენტირებული კვლევებისა და კონსულტაციების განხორციელება;
- საზღვარგარეთ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა.

მიმდინარე წელს ასოციაციამ, განათლების საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით, საგრანტო კონკურსის ფარგლებში, კურსდამთავრებულთა პროექტები მიიღო და 8 გამარჯვებულიც გამოავლინა. პროექტების განხორციელება უკვე დაიწყო.

განათლების საერთაშორისო ცენტრმა, დაარსებიდან დღემდე, 2013-2019 წლებში, 850-მდე სტიპენდია გასცა. ცენტრის დაფინანსებით, სტუდენტებმა მიიღეს უმაღლესი განათლება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში.

პროფესიონალთა კლასი

მზის სხივებივით – ყველა მიმართულებით

მასწავლებელი უნდა იყოს კათედრაზე და მზის მსგავსად ყველგან აგზავნიდეს სხივებს. – იან ამოს კომენსკის ეს სენტენცია მოქმედების განმსაზღვრელი იყო და არის პიროვნებისთვის, რომელზეც მინდა, ვესაუბრო მკითხველს.

ეს პირი ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლის პედაგოგი **ქეთო საფარიძეა**, რომელსაც მალე, 25 დეკემბერს, დაბადების 75 წლისთავი შეუსრულდება და რომელსაც სექტემბერში პადაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

50 წლის უკან, 1969 წელს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, შეაღო ხარაულის სკოლის კარი და, იმავე დროს, გაიხსნა მისთვის სოფლის კარიც, რადგან რაიონში ზღვის დონიდან ყველაზე დაბალი სოფლის – დოლოგნის მკვიდრი ყველაზე მაღალი სოფლის – ხარაულის რძალი გახდა. ამ სოფელში ცხოვრების 50 წლის მანძილზე მისთვის ყველაფერი აქაური მშობლიურად იქცა.

დაიწყო გერმანული ენის მასწავლებლობით. ის ამ საგნის სპეციალისტი არ ყოფილა, მაგრამ, კადრების სიმცირის გამო, მისმა ლექტორმა, პავლე ჯორბენაძემ მისცა რეკომენდაცია. გაამართლა კიდეც, თუმცა მალე სპეციალისტიც გამოჩნდა და ქეთო საფარიძე მთლიანად ქართულ ენასა და ლიტერატურაში გადაეშვა – სულიც, გულიც და მთელი ინტელექტი ამ საგნის სწავლებას მოახმარა და ახმარს დღესაც. მან სკოლის პირველივე ინსპექტირებისას წარმოაჩინა თავი, როგორც კარგმა პედაგოგმა და, უკვე სასკოლოთაშორისო მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელს, რაიონული მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელობაც ანდეს. ამჟამად ქართულის კათედრის ხელმძღვანელია.

ქალბატონ ქეთოს მისწრაფება ვერ დაეტია საგაკვეთილო საქმიანობაში და, 1975 წლიდან, ნორჩ ფოლკლორისტთა წრე ჩამოაყალიბა, მოსწავლეები 200-კომლიანი სოფლის ხელუხლებელი ქართული საგანძურით დააინტერესა. როცა მათ მიერ მოძიებული ზღაპრების, შაირების, ანდაზებისა და გამოცანების, თქმულებებისა და ისტორიული გადმოცემების, ენის გასატეხებისა და შეღოცვების, ხალხური თამაშების დიდი რაოდენობა დაგროვდა, მათი დამუშავებაც დაიწყეს, რამაც ახალგაზრდებს მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კონფერენციებისაკენ გაუხსნა გზა.

მუზეუმის ერთი კუთხე

წლები გადიოდა, მაგრამ სამუშაო არ მცირდებოდა, ამიტომაც ქალბატონმა ქეთომ წრე კლუბად გადააკეთა და „ნისლიანი შორეთი“ უწოდა. ამ შორეთიდან მოსწავლეებს დღესაც გამოაქვთ არა მარტო ფოლკლორული, არამედ ისტორიული, ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური და ლექსიკოგრაფიული ნიმუშები და წარმატებას წარმატება ემატება.

ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკურ კონფერენციებზე 50 თემა წარადგინეს, 70-მა მოსწავლემ რესპუბლიკური სასახლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ორგანიზაციის ჯილდოები (ძირითადად, პირველი ხარისხის დიპლომები, სიგელები, მადლობის ფურცლები და ფასიანი საჩუქრები) დაიმსახურა.

ნათქვამის გასამყარებლად რამდენიმე ფაქტს დავასახელებ: პირველი – ამონაწერი რესპუბლიკური სასახლის ფოლკლორის კაბინეტის გამგის, ცისანა ხაზარაძის წერილიდან: *„ქეთევან საფარიძის მოსწავლეები ყოველთვის გამოირჩევიან სიახლით და სიყვარულით ხალხური სიტყვიერებისადმი“*. ამ წერილის ავტორი, ითვალისწინებდა რა ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, გიზო ჭელიძის მოსაზრებას, რეკომენდაციას იძლეოდა, ქალბატონი ქეთოსთვის ხალხური სიტყვიერების სწავლების უფლება მიეცათ.

მეორე – ამონაწერი 2015 წლის სიგელიდან: *„დაჯილდოვდეს სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში წლების განმავლობაში განსაკუთრებული წვლილისთვის.“*

დააკვირდით, აქ წერია: „განსაკუთრებული წვლილისთვის“!

მესამე – ისევ ქალბატონ ცისანას აზრი, თავისივე რეცენზიიდან: *„საფიქრალ-საზრუნავი არ გველევა (საუბარია ქვეყანაზე. – თ.ა.), მაგრამ სალბუნსაც გვიგ ზავნის უზენაესი და ერთ-ერთი ის ყმაწვილია, რომელიც კალამმომარჯვებული თანასოფლელებისგან იწერს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, რომ მომავალს გადაურჩინოს... აუღელვებლად ვერ წავიკითხე“*. ამ სიტყვების ადრესატი ქეთო საფარიძის მოსწავლეა.

კლასგარეშე თემა სიტყვამ მოიტანა და თითქოს მიგვავიწყდა უმთავრესი – გაკვეთილი. ეს დიდი თემაა და სრულად ვერ წარმოვაჩენ, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ ქეთო საფარიძე გამოირჩევა საგნის ღრმა ცოდნით, მისი გაკვეთილები მუდამ სახალისო და მრავლისმომცემია. აი, დასტურიც: მისმა ყოფილმა მოსწავლემ, ამჟამად ძენწმანის საჯარო სკოლის დირექტორმა, ცირა აბულაძემ თავისი მასწავლებლისადმი საიუბილეო გამოხმაურებაში ჩაწერა: *„რა დამავიწყებს იმ სიხარულს და იმ სიყვარულს, რასაც თქვენი გაკვეთილები მანიჭებდა“*.

ქალბატონი ქეთოს მოსწავლეებიდან 30-ზე მეტმა ფილოლოგიური მიმართულება აირჩია, მათგან 15 ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი გახდა, 7 – ჟურნალისტი.

ახლა სტატისტიკას მოვიშველიებ:

- 1982 წელი – ქეთო საფარიძე დაჯილდოვდა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით;
- 1987 წელი – დაჯილდოვდა „სსრკ განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით;
- 1988 წელი – მიენიჭა უფროსი მასწავლებლის წოდება;
- 1990 წელი – მიენიჭა უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება;
- 1999 წელი – მიენიჭა ლაურეატი მასწავლებლის წოდება;
- 2001 წელი – აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა განაზოგადა მისი პედაგოგიური გამოცდილება;
- 2008 წელი – საქართველოს პედაგოგთა კავშირმა დაჯილდოვა ი. გოგებაშვილის საიუბილეო მედლით;
- 2015 წელი – აჭარის ა/რ განათლების სამინისტრომ დაჯილდოვა მადლობის სიგელით.

გულსატკენია, რომ ამ ჩამონათვალში ვერ დავასახელეთ დამსახურებული მასწავლებლის წოდება. ოფიციალურად, ალბათ, უფრო ბიუროკრატიული მიზეზებით, ასეთი რამ არ არსებობს, ისე კი, ჩვენთვის, კოლეგებისთვის, ის დიდი ხანია დამსახურებული მასწავლებელია.

ახლა ქალბატონ ქეთოს კიდევ ერთი კეთილი საქმის შესახებ მინდა აღვნიშნო.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, სიძველეთა შეგროვებაც დაიწყო. მთიანი აჭარის ყველა სოფლიდან უყრიდა თავს ექსპონატებს. წლების შემდეგ მათმა რაოდენობამ 200-ს მიაღწია: მუჟდე ბალიში, ოსმალური იასმა, ტაბო, ჰავანი, ძველებური თევზსაჭერი ბადე, პატარძლის სარტყელი, პირბადე, სიხმა, ყამა, მასრა, კოლოფები, ვარია, გორძღო, ბოყვი, ნიშნის ყუთები, თორი, ორგო, გიდელი, გვარდა, ლაფერი, ტაბიკები და ა.შ., ძირითადად, დანდალოს თემის წარსულის ნაწილია.

2007 წლიდან მან ამ მონაგარს სამუზეუმო სახე მისცა. წელს ხელისუფლებას ოფიციალური სტატუსის მინიჭება ვთხოვეთ და ქედის მუნიციპალიტეტის მერი ლევან გორგილაძე შეგვპირდა, რომ ახალი წლიდან ეს მუზეუმი ქედის მუზეუმის ფილიალად გადაკეთდება.

ქეთო საფარიძეს დიდი ხანია ვიცნობ და მასზე სათქმელი არ დამელევა, ამიტომ ვიტყვი ძირითადს: ორივე შვილმა – რესანმა და ლამზირამ დედის სპეციალობა აირჩიეს. სოფელი მდიდარია, რომ ასეთი წევრი ჰყავს, სკოლა ბედნიერია, რომ ასეთი პედაგოგი ჰყავს!

ქალბატონ ქეთოს იმდენად უყვარს სკოლა, რომ მის გარეშე არსებობა არ შეუძლია, ამიტომ ჩააბარა ორივე სასერტიფიკაციო გამოცდა და მალე უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება.

კიდევ ერთიც: 2018 წელს გამოიცა „ხალხური საუნჯის“ მეოთხე ტომი, რომელიც ქედის რაიონს ეხება. 450-გვერდიან წიგნში ერთი მესამედი ქალბატონი ქეთოს მიერ შეკრებილ ფოლკლორს აქვს დათმობილი.

დაბოლოს: იგი საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურია, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დანდალოს თემის ქალთა კომიტეტს. აქტიურად მონაწილეობს რაიონის დღესასწაულებში და ამის გამო არაერთხელ ფასიანი საჩუქრებითაც დააჯილდოვეს.

1994 წელს განახლდა რაიონული ზეიმი, რომელსაც „შემოდგომა ქედაში“ ეწოდა. ამ ზეიმზე დანდალოს თემის კუთხემ ყველას აჯობა, კონცერტზე კი მისმა „ფოლკლორისტებმა“ ისეთი სანახაობა წარმოადგინეს, რომ 500-კაციანი დარბაზი დიდხანს აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს.

ასე რომ, ქეთო საფარიძე ცოდნის სხივებს ყველა მიმართულებით გზავნის. ვუსურვებ მას დაბადების 75 და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს!

თამაზ აბულაძე

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის თ. ზაქარაძის სახ. საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი

ახალი წიგნი

ერთი სკოლისა და სოფლის ისტორია

აჭარა ძველთაგანვე საქართველოს ერთ-ერთი განათლებული და კულტურულად დაწინაურებული მხარე იყო. მესხეთმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა აჭარა, არაერთი გამოჩენილი მოღვაწე აღუზარდა საქართველოს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის განათლების, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. ამ მხრივ მარტო შოთა რუსთაველისა და აბუსერისძე ტბელის სახელი რად ღირს, რომლებითაც ნებისმიერი დაწინაურებული ქვეყანა იამაყებდა. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი სარწმუნოება – ქრისტიანობა აჭარიდან მოეფინა მთელ საქართველოს. მაგრამ წარსულში საქართველოს და, მათ შორის, მის ამ მოწინავე კუთხეს მრავალგზის აოხრებდნენ სპარსელები, თურქსელჩუკები, არაბები, მონღოლები... XVI საუკუნის დამლევს კი ოსმალეთმა იგი საბოლოოდ ჩაიგდო ხელში და წარსულის კულტურა და განათლება მოგონებად იქცა. სამასი წლის განმავლობაში თურქთა უღელქვეშ მგმინავ აჭარაში გაქრა ქართული წიგნი და მწიგნობრობა, ჩაკვდა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, მოიშალა ქართული კულტურის კერები...

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ, აჭარა სამუდამოდ დაუბრუნდა დედასამშობლოს, საქართველოს და ჩაერთო მისი ცხოვრების ფერხულში, მაგრამ განათლებით, კულტურითა და ეკონომიკით საგრძნობლად ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა რეგიონებს. ქართულ ენაზე წერა-კითხვის მცოდნენი აქ თითებზე ჩამოითვლებოდნენ. ყოველივე ეს ყურად იღო ახლად შექმნილმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და 1881 წლის 12 მარტს, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, ბათუმში პირველი ქართული სკოლა გახსნა, რაც ფეხბედნიერი გამოდგა ადგილობრივ მკვიდრთათვის. შემდეგ ამას მოჰყვა სკოლების გახსნა აჭარის მაღალმთიან სოფლებში და, მათ შორის, მაშინდელი ხულოს რაიონის (ამჟამად შუახევის მუნიციპალიტეტი) სოფელ ბრილში. აღნიშნულ სოფელში სკოლა 90 წლის წინ გახსნილა, კერძოდ, 1929 წელს. ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება ახლახან დასტამბული ამავე სკოლის კურსდამთავრებულების, პროფესორ **აკაკი ზოიძისა** და სკოლის ამჟამინდელი დირექტორის, **თემურ ზოიძის** წიგნი „სოფლის ჩირაღდანი“, რომლის რედაქტორია ჩვენი დროის ცნობილი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი **რამაზ სურმანიძე**.

ავტორებს წიგნისათვის მართლაც კარგი სათაური შეურჩევიათ – „სოფლის ჩირაღდანი“, რადგან იმ დროს და დღესაც სოფლის განათლების ჩირაღდანი სკოლაა, რომელიც „ერს გონებით გაღვიძებულ კაცს უმზადებს“ (ი. ჭავჭავაძე).

შესავლის შემდეგ ავტორები შთამბეჭდავად მოგვითხრობენ ჭვანის ხეობის ისტორიაზე, სოფელ ბრილზე, მის წინსვლა-წარმატებებზე, პირველ მასწავლებლებზე, სახელოვან ადამიანებზე, სკოლის აღზრდილთა მიღწევებსა და წარმატებებზე.

პირველი სკოლა ჭვანის ხეობაში, 1916 წელს, თვით სოფელ ჭვანაში გახსნილა, შემდეგ კი სხვა სოფლებშიც, ხოლო 1929 წელს – სოფელ ბრილში. მისი პირველი მასწავლებელი ყოფილა სამტრედიელი **ვასილ თევზაძე**, მომდევნო წელს კი სკოლას შემატებია ისევ სამტრედიელი, ამჟამად უკვე ქალი მასწავლებელი, **ქეთევან ზამთარაძე**. იმ პერიოდში აჭარაში მოვლინებულ მასწავლებლებს დიდი წინააღმდეგობის დაძლევით უხდებოდათ მოზარდებში ეროვნული ცნობიერების ამაღლება და მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის გავრცელება, რადგან მუსლიმანური რელიგიით დაბანგული ზოგიერთი მშობელი ფიქრობდა, რომ ქართულ სკოლაში მათ შვილებს გააქრისტიანებდნენ. ამიტომ, პირველ ხანებში, ბავშვებს სკოლაში არ უშვებდნენ. აქედან გამომდინარე, სკოლის პირველ მასწავლებლებს დიდი მუშაობა უხდებოდათ არა მარტო მოსწავლეებთან, არამედ სოფლის მოსახლეობასთანაც მათი ეროვნული ცნობიერების ამაღლების მიზნით. განსაკუთრებით ჭირდა იმ დროს გოგონების გამოცხადება სკოლაში.

გახსნის დღიდან დღემდე ბრილის სკოლა დაუმთავრებია 450-მდე მოსწავლეს, რომელთა უმრავლესობა დღესაც ნაყოფიერად იღვწის ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ავტორებს ჩამოთვლილი ჰყავთ ყველა მათგანი, ზოგიერთები კი ნაშრომში მოკლე ბიოგრაფიებით არიან წარმოდგენილი, განსაკუთრებით ისინი, ვინც თავიანთი შრომითი საქმიანობით ასახელა სკოლა და თანასოფლელები.

სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი არიან სკოლის პირველი მასწავლებლები და ისინი, ვინც დღესაც მოღვაწეობს ბრილის საჯარო სკოლაში. მათ შორის უმრავლესობა ბრილის სკოლადამთავრებულია. ავტორები გულთბილად საუბრობენ თითოეული მათგანის დამსახურებაზე, მათ მიერ სოფლის მცხოვრებთა და მშობელთა შორის მოპოვებულ სიყვარულსა და პატივისცემაზე. განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებენ მოვლინებულ მასწავლებლებზე – **ვასილ თევზაძეზე**, **ეთერ გარაყანიძესა** და მის მეუღლე **დავით ლომთათიძეზე**, რომელიც 1955 წლიდან 1976 წლამდე სათავეში ედგა ბრილის საშუალო სკოლას, ეთერ გარაყანიძე კი, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მშობლიურ ოზურგეთის რაიონს დაუბრუნდა და, მიმდინარე წლამდე, ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას განაგრძობდა.

სხვებთან ერთად, ქალბატონი ეთერ გარაყანიძეც ესწრებოდა 15 ნოემბერს სოფელ ბრილში გამართულ სკოლის დაარსების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღესასწაულს, სადაც მან სიყვარულით მოიგონა თავისი მოსწავლეები და აქ გატარებული დღეები.

ზემოთ დასახელებული წიგნის გამოცემით აკაკი და თემურ ზოიძეებმა ძალზე საშური საქმე გააკეთეს – შთამომავლობას შემოუნახეს ერთი სკოლისა და სოფლის ისტორია, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანეს აჭარისა და სრულიად საქართველოს განათლების ისტორიაში.

ნოდარ ბასილაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უმაღლესი განათლება

თსუ სტუდენტებს საერთაშორისოდ აკრედიტებულ პროგრამებს შესთავაზებს

ლალი ჯელაძე

10 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU) ერთობლივ ღონისძიებაზე, საერთაშორისოდ აკრედიტებული პროგრამები წარადგინეს. სან დიეგოს პარტნიორი სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020-2021 სასწავლო წლიდან, პირველად განახორციელებს სტუდენტების მიღებას ელექტრული და ელექტრონიკის ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერებების ABET აკრედიტებულ და ქიმია/ბიოქიმიაში ACS სერტიფიცირებულ პროგრამებზე.

რეგიონის ისტორიაში ABET აკრედიტაცია პირველად მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმა პროგრამამ, რომელთა რიცხვს, 2021 წლიდან, შესაძლოა კიდევ ორი პროგრამა შეეემატოს ილიას სახელმწიფო და ტექნიკურ უნივერსიტეტებში.

„პირველად მთელი რეგიონის ისტორიაში ორი პროგრამა მიიღებს *ABET აკრედიტაციას, ძალიან მაღალი შეფასება დაიმსახურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმა პროგრამამ. მზად გვაქვს მესამე პროგრამაც ქიმიაში, რომელსაც ამერიკის ქიმიკოსთა საზოგადოება განიხილავს და ცოტა ხანში, სასერტიფიკატო პროგრამაზე დასტურს ველით“* – განაცხადა თსუ-ს რექტორმა **გიორგი შარვაშიძემ**. მისივე თქმით, უნივერსიტეტი ისეთივე მაღალი საერთაშორისო ხარისხის მქონე ინჟინრებს მოამზადებს, როგორც წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტები. *„კარგია, რომ ჩვენი პარტნიორი უნივერსიტეტები ასევე ამზადებენ პროგრამებს, 2021 წლიდან, თითო პროგრამის შანსი აქვთ ილიას სახელმწიფო*

უნივერსიტეტს და ტექნიკურ უნივერსიტეტს, ჩვენც დავეხმარებით და გავუზიარებთ გამოცდილებას, რომელიც ძალიან რთულ გზაზე გვქონდა. ეს არის ხუთწლიანი გზა, რომელიც, სხვათა შორის, სამ წელიწადში გავიარეთ წინმსწრებად. შეფასება, რომელიც თსუ-ის ამ ორმა პროგრამამ დაიმსახურა, მართლაც უნიკალურია“.

პროგრამებზე ჩარიცხვა ჩვეულებრივ, მოქმედი მისაღები საგამოცდო მოდელით განხორციელდება, ხოლო კურსდამთავრებულები ერთდროულად ორ დიპლომს მიიღებენ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ, ათასწლეულის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი მაგდა მაღრაძე, SDSU დეკანი საქართველოში პროფესორი ჰალილ გუვენი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები, პროფესორები, სტუდენტები და სხვა მოწვეული სტუმრები. ღონისძიებას ასევე დაესწრნენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის გუნდის წევრები კალიფორნიიდან.

„ჩვენი პირველი მისია იყო, რომ გვყოლოდა პირველი გამოშვება და კურსდამთავრებულები საქართველოში, ეს მიზანი მიღწეულია. მეორე მიზანი იყო, რომ ჩვენი გამოცდილება გადაგვეცა პარტნიორი უნივერსიტეტებისათვის და დავხმარებოდით მათ, გავარემონტეთ ლაბორატორიები, სასწავლო ოთახები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოსალოდნელზე ადრე შეძლო საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება პროგრამებზე. მომავალში, დაგეგმილია დანარჩენი ორი უნივერსიტეტის პროგრამებისთვის საერთაშორისო აკრედიტაციის მინიჭება,“ – განაცხადა პროფესორმა **ჰალილ გუვენმა**.

„დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, ჩვენ ვაცხადებთ მიღებას 2020-2021 სასწავლო წლისთვის ახალ პროგრამებზე, რომლებიც არის საერთაშორისოდ აკრედიტებული. პირველი შემთხვევაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ პოსტ საბჭოთა სივრცეში, რომ ქართულმა უნივერსიტეტმა მიიღო საერთაშორისო აკრედიტაცია და უფლება, განეხორციელებინა პროგრამები საბუნებისმეტყველო საინჟინრო დარგებში. ეს პროგრამები გახლავთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რადგან შრომის ბაზარზე არის ამ კადრების მოთხოვნა, – ამბობს ათასწლეულის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი **მაგდა მაღრაძე**, – *სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი ამერიკული უნივერსიტეტია საქართველოში. ის, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დაფინანსებით, 2014 წელს შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში. უკვე 600-მდე სტუდენტი გვყავს, ხოლო 2020 წლიდან ამ პროგრამებზე მიღებას უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოაცხადებს, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად. ამ პროგრამების კურსდამთავრებული განსაკუთრებით მოთხოვნადი იქნება შრომის ბაზარზე, რადგან დღეს ნებისმიერი მსხვილი ინვესტორი, რომელიც საინჟინრო დარგში მოღვაწეობს, ითხოვს ABET აკრედიტებულ სპეციალისტებს“.*

„ეს დიპლომი საშუალებას მოგვცემს, ისეთივე ხარისხის განათლება მივიღოთ საქართველოში, როგორსაც საზღვარგარეთ მივიღებდით. მე აღარ მაქვს იმის აუცილებლობა, რომ უცხოეთში წავიდე სასწავლებლად, რადგან იმავე ხარისხის განათლებას მივიღებ აქ, საქართველოში,“ – აღნიშნავს თსუ-ში სან დიეგოს უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის მეორე კურსის სტუდენტი **გიორგი ბოხოჩაძე**.

❖ ❖ ❖

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში აშშ-ში აკრედიტებულ პროგრამებს 2014 წლიდან, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს მიერ, ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის (გრანტის) ფარგლებში ახორციელებს.

პარალელურად, SDSU ეხმარება საქართველოს სამ პარტნიორ უნივერსიტეტს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებაში, რათა ამ უნივერსიტეტებმა შეძლონ იმავე პროგრამების უკვე თავად განხორციელება. პროექტის ორივე კომპონენტი დაფინანსებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს მიერ, ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის (გრანტის) ფარგლებში.

საერთაშორისოდ აკრედიტებული პროგრამების შეთავაზება ეტაპობრივად დაიწყება. 2020-2021 სასწავლო წლისთვის ორი აკრედიტებული პროგრამა გამოაცხადებს მიღებას.

ახალი ამბები

ლადო აფხაზავას სტუმრობა ფოთში

შპს „თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიაში“, დაწყებითი კათედრის კვირეულის ფარგლებში, ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიება „ჩემი საქართველო“ გაიმართა. აღსანიშნავია, რომ სკოლამ, კვირეულის ფარგლებში, პედაგოგ **ლადო აფხაზავას** უმასპინძლა. იგი განსაკუთრებული მასწავლებელია თავისი რეგალიების მიხედვით. მოგეხსენებათ, რომ არის 2017 წლის ეროვნული ჯილდოს პირველი მფლობელი, 2018 წელს გლობალური ჯილდოს 50 საუკეთესო მასწავლებლის სიაში დასახელდა, ხოლო 2019 წელს მსოფლიო საუკეთესო მასწავლებლის 10 ფინალისტთა შორის მოხვდა. ლადო აფხაზავა სკოლას, თავის მოსწავლეებთან ერთად, სტუმრობდა. სკოლის პედაგოგის, ქალბატონი **ნაზიბროლა დევაძის** ხელმძღვანელობით, პატარებმა საინტერესო ღონისძიება გამართეს. ხელოვნების პედაგოგის, **ეკატერინე ხვიჩიას** მოსწავლეებმა, სხვადასხვა მასალის გამოყენებით, ოთახი კრეატიულად გააფორმეს. სტუმართან საინტერესო და მრავალფეროვანი დიალოგი გაიმართა. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა მისგან მნიშვნელოვანი რჩევები მიიღეს. ლადო აფხაზავამ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გამოცდილება გაუზიარა. მასთან შეხვედრის ემოციების გაზიარება კი, საკლასო ოთახებში, მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა.

ღონისძიების დასასრულ, ლადო აფხაზავამ აღნიშნა: *„ძალიან მოხიბლული ვარ ამ სკოლის დამოკიდებულებით, მოსწავლეებისადმი მიდგომით. სასიამოვნო, ლამაზი საღამო გამოვიდა და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ აქტივობები ისე იყო დაგეგმილი, რომ ბავშვებს საჭირო უნარები განუვითარდეთ და სწორი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეთ, რასაც ნამდვილად მივესალმები. დიდი მადლობა სკოლის დირექტორს, ქალბატონ თამარს, მოწვევისათვის.“*

სკოლის სახელით, საპატიო სტუმარს თექაზე შესრულებული ილია ჭავჭავაძის პორტრეტი გადაეცა საჩუქრად, ბოლოს კი სამახსოვრო სურათები გადაიღეს. ასე საინტერესოდ დასრულდა დაწყებითი კათედრის ტრადიციული კვირეული.

თამარ ფაჩულია
ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲜᲐᲓ

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მორიგი პროექტი ითვალისწინებს ძიუდოისტთა ახალი ნაკადის გამოვლენას და მომზადებას ისეთივე პროგრამით, რომლითაც დღეს „2020“-ის მონაწილეებს ამზადებენ ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის. თუმცა, ახალი პროექტი ძირეულ განსხვავებასაც შეიცავს – კერძოდ, მუშაობის რეგიონებში გადატანას და ადგილობრივი ცენტრების შექმნას ითვალისწინებს, სადაც მთავარი მუშა ძალა პირადი მწვრთნელი იქნება, რაც მის როლს განუხრელად გაზრდის. მათ მიეცემათ კონკრეტული დავალება ჭაბუკთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბისგან (ბუნებრივია, ამ გეგმას ფედერაციის შესაბამისი სამსახური განიხილავს და ამტკიცებს), რომლის მიხედვითაც ავარჯიშებენ ამ მოზარდებს. თავის მხრივ, პირად მწვრთნელთა ინსტიტუტის ამაღლება ძიუდოს ფედერაციის ადრინდელი და გაცილებით ძველი მიზანია – რაც შეიძლება, ფართოდ წარმოჩინდეს ეს ხალხი და მათ ვერავინ წაართვას ხშირად მართლაც შვილივით გაზრდილი შეგირდი, ვერ „მოტეხონ“ ისინი პრემიების წილიდან, რაც ქართული სპორტისთვის ლამის დასაბამიდან რჩება „აქილევსის ქუსლად“. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელობაში უამრავი მსგავსი მაგალითი გვაქვს. თუმცა, ამჯერად მარტო პრემიებზეც არაა საუბარი, კონკრეტული მწვრთნელი რაც უფრო კარგად წარმოაჩენს თავს, შესაბამისად, ნაკრებისკენაც გაეხსნება გზა და მთელი ცხოვრება ერთ ადგილას, თავის რაიონში ჩარჩენილი არ დარჩება, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში დღემდე ასევე ჩვეულებრივი ამბავია...

ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე ფედერაციამ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა – ამ დღეებში ძიუდოს აკადემიაში ჩატარდა სარეიტინგო ტურნირი უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის, რომელიც, თავის მხრივ, შესარჩევი შეჯიბრება იყო უფროსი ასაკის ჭაბუკთა საქართველოს ჩემპიონატისთვის, რომელიც ორი თვის შემდეგ გაიმართება. იქ გამოსვლის უფლება მედალოსნებმა მიიღეს, თუმცა, აღნიშნულ სარეიტინგო ტურნირს იმ ვაკუუმის შევსებაც ევალებოდა, რაც სეზონის მიწურულს ჭაბუკებს უდგათ ხოლმე. შეჯიბრებები შედარებით ნაკლებად ტარდება, თანაც წლის ამ დროს ჩვენებს ფული ყოველთვის უჭირთ და ვერც უცხოეთშო აგზავნიან შეჯიბრებებზე, თუმცა იქაც ნაკლებია ხოლმე ტურნირები, პირველხარისხოვანი შეჯიბრებებიც (ევროპისა და მსოფლიო პირველობები) ჩავლილია და აღარც ვარჯიშობენ, ამ გაცდენილი დროის ასანაზღაურებლად კი მერე ორმაგი შრომა სჭირდებათ. სარეიტინგო შეჯიბრებამ ეს ვაკუუმი შეავსო, ხოლო ის გარემოება, რომ საქართველოს ჩემპიონატის ლიცენზიებს იძლეოდა, დამატებითი სტიმული იყო. ამიტომ, ძიუდოს აკადემიაში მართლაც რომ უშეღავათო პაექრობები გაჩაღდა და საერთო სურათი ნამდვილად დამაიმედებელია, უდავოდ კარგი თაობა მოდის.

სტიმული იმანაც აამაღლა, რომ მედალოსანთა მწვრთნელებს გვარიანი პრემიები გადაეცათ და ახლა, ძირითადად, ისინი გაუძღვებიან რეგიონებში მუშაობას. ოღონდ, როგორც გითხარით, მათ ფედერაციიდან მიეცემათ გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა ავარჯიშონ მოზარდები. ამ პროცესში, კურატორ-კონსულტანტებად, ჩაბმული იქნებიან ჭაბუკთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრები, მათ გარკვეული პერიოდით მიავლენენ ადგილებზე სამუშაოდ, სადაც დააკვირდებიან ვარჯიშის პროცესს, ადგილობრივ მწვრთნელებს გაუწევენ კონსულტაციებს და ერთიან სავარჯიშო სისტემას ჩამოაყალიბებენ, რაც ასევე მტკივნეულია ჩვენთვის.

როგორც გითხარით, ადგილებზე განზრახულია ერთგვარი ცენტრების შექმნა, სამომავლო პერსპექტივაში კი, მათი კლუბებად გარდაქმნაა ნავარაუდევი, ოღონდ ეს დროის და მუშა პროცესის საქმეა. ჯერ თავად ამ ცენტრების სტრუქტურაც არაა მიღებული და მის შესაქმნელად, სხვადასხვა ვარიანტების შესაჯერებლად, ძიუდოს ფედერაციაში სადისკუსიოდ, პერიოდულად, ეწყობა ხოლმე მწვრთნელთა შეხვედრები. მაგალითად, ბოლო შეხვედრაზე ითქვა და, ჯერჯერობით, ყველაზე რეალურ ვარიანტადაც ეს ჩანს, რომ იქ, სადაც ძიუდო ნაკლებადაა განვითარებული, შეიძლება მოსაზღვრე რეგიონები გაერთიანდეს, მაგალითად – სამეგრელო-იმერეთი, გურია-აჭარა, ხოლო სადაც ძლიერი ცენტრებია, იქ რაიონების ხარჯზე მოხდეს ცენტრების შექმნა, ან, მაგალითად, გორის მსგავსი ძლიერი ტრადიციების მქონე ქალაქი თუ რაიონი მხოლოდ საკუთარი ცენტრით შემოიფარგლოს. კიდევ ვიმეორებთ, ეს სტრუქტურა ჯერ განხილვის პროცესშია, მაგრამ მთავარია, რომ ყინული დაიძრა. ყოველ შემთხვევაში, აღარ იქნება ადრინდელი მიდგომა, როცა ყველა ნიჭიერი სპორტსმენი თბილისში გადმოჰყავდათ და აქ ავარჯიშებდნენ, მერე კი მათი პირადი მწვრთნელების ხსენებაც აღარ იყო. ყველა, ძირითადად, თავის რაიონში ივარჯიშებს, რაც ასევე აამაღლებს ინტერესს იმ კონკრეტულ ადგილას, თბილისში კი ნაკრების წევრებსა და კანდიდატებს ჩამოიყვანენ, რომლებიც უკვე ნაკრების სამწვრთნელო შტაბის მიერ შემუშავებული გეგმით ივარჯიშებენ.

ბუნებრივია, ყველა ცენტრს თავისი კონკრეტული, სხვისგან განსხვავებული პრობლემა ექნება, თუმცა ფედერაცია მათ მოგვარებაშიც დაეხმარება. მაგალითად, თუ სადმე მწვრთნელი არ იქნება საკმარისი, სხვა რეგიონიდან მიახმარენ. როგორც გითხარით, სავარჯიშო პროცესში ნაკრების მწვრთნელებიც იქნებიან ჩაბმული, რომლებიც ორ-ორი კვირით ან სხვა ინტერვალით (ესეც მალე დადგინდება) იმუშავებენ ადგილებზე. ასევე შეიძლება ზოგან სპორტსმენთა რაოდენობაც არ ეყოთ სპარინგებისთვის და, ამ შემთხვევაშიც, სხვა რეგიონიდან გააგზავნიან ბავშვებს. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში მოვარჯიშეთა რაოდენობა უფრო მეტია და აქ მწვრთნელები ყველას სათანადო ყურადღებას ვერ მიაქცევენ. ამ შემთხვევაში, იმ ბავშვებისთვისაც უკეთესი იქნება სხვაგან გადასვლა, დაოსტატების მეტი საშუალება ექნებათ. თუმცა, აქ სკოლისა და სწავლის პრობლემაც დგება, რადგან საქმე სასკოლო ასაკთან გვაქვს, მაგრამ ფედერაცია ამაზეც იზრუნებს კერძო მასწავლებლების დაქირავებითა თუ სხვა მეთოდით. მით უფრო, რომ ამის გამოცდილება იმავე „2020“ პროგრამით უკვე აქვთ, როცა შეკრებებზე მიჰყავდათ დაქირავებული მასწავლებლები და ვარჯიშის შემდეგ იქ უტარებდნენ გაკვეთილებს, განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამით. სხვათა შორის, წლეულს, ამ პროგრამაში ჩართული 8 აბიტურიენტიდან, 7-მა წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და სტუდენტი გახდა.

ჯერჯერობით დაზუსტებით ვერავინ იტყვის, რამდენად გაამართლებს ეს პროექტი, თუმცა ვისურვოთ, რომ „2020-ზე“ წარმატებულიც კი აღმოჩნდეს, მაგრამ ნოვატორული ნამდვილადაა, რადგან ბავშვთა სპორტის განვითარებას ისახავს მიზნად. არადა, ჩვენთან მთელი აქცენტი გადატანილია მაღალი მიღწევების სპორტზე, ბავშვთა სპორტი თვითდინებაზეა მიშვებული. ბუნებრივია, მაღალი მიღწევების სპორტიც აუცილებელია და, საბოლოოდ, ყველაფერი მის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ აწ გარდაცვლილი სპორტის ექსპერტის, თამაზ თევზაძის თქმისა არ იყოს, ის პირამიდის წვეროა, საძირკველი კი ბავშვთა სპორტია. სწორედ ბავშვთა სპორტს უნდა ემყარებოდეს პირამიდის წვერო, ჩვენთან კი, იმავე თევზაძის თქმისა არ იყოს, სახლის მშენებლობას სახურავიდან ვიწყებთ. თანაც, ბავშვთა სპორტი მხოლოდ სპორტი არაა, სოციალური ფენომენია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდას, ჯანსაღი მოქალაქე კი მრავალმხრივაა საჭირო და სასურველი სახელმწიფოსთვის: ჯანმრთელი მოქალაქე ავტომატურად ნიშნავს თავდაცვისუნარიან მოქალაქეს (არადა, ისეთ რეგიონში ვართ, ამის საჭიროება ისტორიულად მოგვდგამს და დღემდე არ განელებულა); ქვეყანას დაუზოგავს უზარმაზარ თანხებს სოციალურ სფეროში, რადგან არ დასჭირდება იმდენი ინვესტირება სამედიცინო დაზღვევაში, სამედიცინო დაფინანსებაში, ქვეყანაში არ იქნება მედიკამენტების ამხელა საჭიროება; ბავშვები თავიდანვე მიეჩვევიან რეჟიმს და პროფესიულ უნარ-ჩვევებს; გაუღვივდებათ ინტერესი სპორტის, ანუ ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი და კიდევ უამრავი სხვა სიკეთე, რასაც ჩვენგან განსხვავებით, კარგად ხედავენ დასავლურ სამყაროში. სამწუხაროდ, საქართველოში, ბავშვებსა და მოზარდებში ჯანმრთელობის მხრივ, სერიოზული პრობლემებია და მსოფლიოში მოწინავეთა შორის ვართ ძალიან ბევრი დაავადებისა თუ არასასურველი ტენდენციის მხრივ.

დასასრულს, გაგაცნობთ ზემოაღნიშნული სარეიტინგო ტურნირის მედალოსნებს, რომლებიც, როგორც გითხარით, საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებენ.

50 კგ. – 1. ლაშა ბაღაშვილი; 2. მალხაზ ბანძელაძე; 3. გიორგი ინაშვილი, ალეკო ჯანეზაშვილი.

55 კგ. – 1. გიორგი სარდალაშვილი; 2. დავით ხაჩიძე; 3. იპოლიტე აქუბარდია, გიგი ოტიაშვილი.

60 კგ. – 1. თენგიზ ზირაქიშვილი; 2. მათე ბერუაშვილი; 3. მათე გოგობერიშვილი, ლუკა კუხალეიშვილი.

66 კგ. – 1. გიგა მაისურაძე; 2. დავით ხუროშვილი; 3. ვახტანგ პავლიაშვილი, გიორგი ბერუაშვილი.

73 კგ. – 1. გიორგი ტერაშვილი; 2. ჯუმბერ მელაძე; 3. კოტე კაპანაძე, ალექსანდრე ლოლაძე.

81 კგ. – 1. გიორგი გუგავა; 2. გიორგი მარმალიძე; 3. გიორგი ხინიზოვი, დავით გირგვლიანი.

90 კგ. – 1. გიორგი მაისურაძე; 2. მიხეილ ჯაფარიძე; 3. გიორგი გავარდაშვილი, გაგა გაგაძე.

+90 კგ. – 1. უჩა ტაბატაძე; 2. შალვა გურეშიძე; 3. ლაშა მამულაშვილი, საბა კამლაძე.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ქართველმა ბატუტისტებმა მორიგი დიდი წარმატება ჩაიწერეს აქტივში. ამჯერად – ახალგაზრდებმა, რასაც ტოკიოში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მიაღწიეს. იქ წყვილებში, გოგონათა შორის, ჩინებულად იასპარეზა ჩვენმა დუეტმა – **მაია ბოჭორიძემ** და **ანა ლაპიაშვილმა**, რომლებიც 11-12-წლამდელთა შორის გამოვიდნენ და პირველობა არავის დაუთმეს.

მსოფლიო ჩემპიონატი რომ უძლიერესი ტურნირი იქნებოდა, ამაზე საუბარიც არ ღირს, ჩვენებმა კი შეჯიბრება თავიდანვე ძლიერად დაიწყეს და საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით ჩაამთავრეს – 44.710 ქულით მეორეზე გავიდნენ და მხოლოდ იაპონელებს ჩამორჩნენ. ისინი ფინალში კიდევ უფრო დაბეჯითებულად გამოვიდნენ, სადაც უკვე 44.340 ქულა დააგროვეს და ყველას გაუსწრეს. შესაბამისად, ოქროს მედლებიც მოიპოვეს. მეორეზე რუსული წყვილი გავიდა, ბრინჯაოს კი იაპონელთა პირველი დუეტი დაეუფლა.

ტოკიოში ჩვენს ნაკრებს კიდევ ერთი მედლის მოპოვების შანსი ჰქონდა და ისევ გოგონებს შორის სინქრონულ ხტომებში. ოღონდ ამჯერად 15-16-წლიანთა შორის, სადაც ორი წყვილი გვყავდა. იმათგან ერთი – **ანანო აფაქიძე** და **სოფიო დაშნიანი** – ფინალში გავიდა, მაგრამ მედალი ვერ მოიპოვა, მეხუთე ადგილს დასჯერდნენ. თუმცა, ესეც კარგი შედეგია, რადგან ამ დისციპლინაში 40 წყვილი გამოდიოდა.



ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

იტალიაში, ტურინის ოლიმპიურ არენა „პალაველაზე“, ფიგურული სრიალის გრან პრის ფინალში, ქართველმა წყვილმა – **გიორგი რევიამ** და **მარია კაზაკოვამ** ოქროს მედლები მოიპოვეს. იუნიორების კატეგორიაში მათ ამერიკელ და რუს მეტოქეებს აჯობეს. გრან პრის ფინალზე ეს საქართველოსთვის პირველი ოქროს მედალია.

აღსანიშნავია, რომ ფინალურ ეტაპამდე ჩატარებულ შეჯიბრში, რომელიც რიტმულ ცეკვას დაეთმო ასევე გიორგი და მარია ლიდერობდნენ. ქართველმა მოციგურავეებმა ამერიკელებს სულ 0,4 ქულით გაუსწრეს.

გრან პრის ფინალი მნიშვნელობით თითქმის მსოფლიო ჩემპიონატს უტოლდება და მასში მსოფლიოს საუკეთესო ექვსი დუეტი მონაწილეობს. მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას უშეცდომო გამოსვლა ჰქონდათ, მათ მეორე ადგილზე გასულ წყვილს 0.4 ქულით აჯობეს.

გრან პრი შეჯიბრებათა ეტაპების სერიაა და ფინალურ ექვსეულში მოხვედრას, ორ ეტაპზე საუკეთესო შედეგები განაპირობებს, რაც ფაქტობრივად ყველა ეტაპზე მედლის აღებას გულისხმობს.

რუბრიკას უძღვება **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ**

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე
8 ლარი


თამაზ ფასაძე ქართული ენციკლოპედიური პროზა ლიტერატურის მასწავლელთათვის
4 ლარი


თამაზ ფასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
12 ლარი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი


19 ლარი

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)

წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

ეროვნული გამოცდისათვის

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა


15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

15 ლარი

ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა

კრებული მოიცავს მცირე თეორიულ მასალას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, კერძოდ სხვადასხვა ტესტებს: გასააზრებელ ტექსტებს შეკითხვებით და სავარაუდო პასუხებით, ასევე მხატვრული ტექსტების გააზრების სავარჯიშოებს, ესეს წერის დროს გასათვალისწინებელ თეორიულ მასალას და კონკრეტულ ნიმუშებს.

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

7 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი